წელიწადი მეათე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20 %-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

პარასკევი, 31 ოქტომბერი 1930 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 255 (2903)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

- აჯანყება კუნძულ ფორმოზოზე. — მოკლულია 190 იაპონელი.
- საბჭოთა კავშირის შეკვეთები ინგლისში.
- კომუნისტების დევნა საფრანგეთში.
- თურქეთ - საბერძნეთს შორის დადებულია ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ.
- უმუშევრობის ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

უზრუნველვყოთ მრეწველობა მუშა-ხელით

სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარებამ მთელ რიგ სხვა დადებით შედეგებთან ერთად მოსპო უმუშევრობა საბჭოთა კავშირში. ეს არის სოციალისტური მეურნეობის მორიგი უდიდესი გამარჯვება. მაშინ, როდესაც სამეურნეო კრიზისით საბედისწეროთ დაავადებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში უმუშევრობა დღითი დღე იზრდება, ჩვენში სოციალისტური მშენებლობის წარმატების საფუძველზე ბოლო მოეღო ძველ წყობილების ერთ-ერთ მძიმე მემკვიდრეობას — უმუშევრობას.

ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მწვავედ წამოიჭრა ჩვენი მრეწველობის კვალიფიციურ მუშა-ხელით უზრუნველყოფის საკითხი. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც შრომის ბირჟაზე უმუშევართა დიდი რაოდენობა იყო აღრიცხული, მრეწველობა მუშა-ხელის განსაკუთრებულ ნაკლებობას განიცდიდა. მით უფრო გართულდა მდგომარეობა ეხლა, როცა მთელი რიგი საწარმოების მუშაობა და ახალმშენებლობათა მსვლელობა ფერხდება არა თუ კვალიფიციურ, არამედ მარტივი საქმის შემსრულებელ მუშა-ხელის უყოლობის გამო. ამავე დროს ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის განხორციელება 1931 წლის განმავლობაში აყენებს 1.300.000 ახალ კვალიფიციურ მუშა-ხელის მოთხოვნილებას.

მუშა-ხელის სიმცირის ასეთ პირობებში პოხიერი ნიადაგი ჰპოვა ეგრედწოდებულ მოხეტიალობამ, ხელფასის გადიდების მიზნით საწარმოოდან საწარმოში მოგზაურობამ, მუშების გადაბირებამ მეტი ხელფასის შეძლევით, სიმულიაციამ და საერთოდ, შრომის დისციპლინის შესუსტებამ. აშკარაა, რომ ეს მდგომარეობა მთელი თავისი სერიოზულობით იპყრობს პარტიის ყურადღებას. ამას ყველაზე ნათლად მოწმობს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 20 ოქტომბრის დადგენილება, რომელშიაც მოცემულია მტკიცე და გარკვეული დირექტივები „სახალხო მეურნეობის მუშა-ხელით გეგმიანი უზრუნველყოფის და მუშა-ხელის ცვალებადობასთან ბრძოლის შესახებ".

საკითხი შემდეგნაირად სდგას: ერთი მხრივ, უნდა მიღებულ იქნას ყველა შესაძლებელი ზომები კვალიფიციურ მუშა-ხელის მასიურად მომზადებისათვის. ამ მიზნით უნდა მოეწყოს დროებითი გადასამზადებელი კურსები, უნდა გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს მუშაობა შეგირდობის კვალიფიციურად მომზადებისათვის და სხვ. ყოველივე ეს თუმცა ახლო მომავლის, მაგრამ მაინც მომავლის საქმეა, საქმე კი დაყოვნებას არ ითმენს. ამიტომ, მეორე მხრივ, ამომწურავი ზომები უნდა იქნას მიღებული მუშა-ხელის არსებული კადრების მაქსიმალური მიზანშეწონილობით გამოყენებისათვის.

თუ მუშა-ხელის ახალი კადრების მომზადების მხრივ მდგომარეობა ჩვენში არადამაკმაყოფილებელია, კიდევ უფრო დაუშვებელი მდგომარეობაა არსებულ მუშა-ხელის გამოყენების დარგში. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ის უწესოება, რომელსაც ადგილი აქვს დაწინაურების დარგში. ადგილობრივი ორგანიზაციები ხშირად მუშათა დაწინაურებას აწარმოებენ ყოველგვარი გეგმის გარეშე, რაიც დიდ ზიანს აყენებს წარმოებას.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის ზემოხსენებულ დადგენილებაში ამის შესახებ პირდაპირ მითითებას აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციებს. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„წარმოებაში კვალიფიციურ მუშათა კადრების შენარჩუნების მიზნით, აიკრძალოს მახლობელი ორი წლის განმავლობაში დაზგის მუშების დაწინაურება ყოველგვარ სამმართველო აპარატებში და დატოვებულ იქნას ძალაში დაზგის მუშების დაწინაურება მხოლოდ საწარმოო და პროფესიონალური ხაზით".

აქედან აშკარაა, რომ უნდა მიღებულ იქნას ენერგიული ზომები, რათა მუშათა ის კადრები, რომელნიც გამოყენებულ იყვნენ სამმართველო აპარატებში დასაწინაურებლად, მახლობელი ორი წლის განმავლობაში მთლიანად გამოყენებულ იქნან წარმოებისა და პროფესიონალური კავშირების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ცალკე უნდა აღინიშნოს მუშათა მეტად საყურადღებო ინიციატივა, რომელიც მდგომარეობს წარმოებაზე თვითმიმაგრებაში ხუთწლედის დასასრულამდე. ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციებმა ყოველი ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ ეს მოძრაობა მასიურად გაიშალოს, მაგრამ ამასთანავე ძირშივე უნდა აღკვეთონ ყოველგვარი ადმინისტრატიული იძულების ცდა ამ მიმართულებით.

მრეწველობის მუშა-ხელით უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შრომის ბირჟებს. ცხადია, რომ უმუშევრობის მოსპობასთან ერთად ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს შრომის ბირჟათა ამოცანები და მუშაობის შინაარსი. საკავშირო კომპარტიის ცეკა საჭიროდ სცნობს შრომის ბირჟების გადაკეთებას მუშა-ხელის მომზადებისა და გეგმიანი განაწილების სამმართველოებად. ეს უნდა მოხდეს, რაც შეიძლება დაუგვიანებლად.

რა კეთდება ამ მხრივ ჩვენში? ჯერჯერობით თითქმის არაფერი. და ეს შემთხვევითი არაა. ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ იძლევიან იმის ნიშანს, რომ ისინი ბოლშევიკურად იბრძვიან მრეწველობის მუშა-ხელით უზრუნველყოფისათვის. ასეთ მდგომარეობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მემარჯვენე ოპორტუნიზმის პრაქტიკას ამ დარგშიაც. მემარჯვენე ოპორტუნიზმი, რომელიც არ სცნობს პარტიის მიერ აღებულ ლენინურ ტემპებს მრეწველობაში, ცხადია, ჩუმი თუ აშკარა წინააღმდეგობით ხელს უშლის მრეწველობის უზრუნველყოფას საჭირო მუშა-ხელით. ამიტომ ადგილობრივ ორგანიზაციებს მეტი სიმტკიცე და ბოლშევიკური დაუნდობლობა მართებთ, მათ მთელი სისასტიკით უნდა ამხილონ მემარჯვენე ოპორტუნიზმის ეს მორიგი პრაქტიკული გამოხატულება და ბრძოლა მრეწველობის კვალიფიციური მუშა-ხელით უზრუნველსაყოფად ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდა გადააქციონ.

გავაძლიეროთ ტემპები ხე-ტყის დამზადების პროგრამის შესასრულებლად

შრომისა და თავდაცვის საბჭომ ხე-ტყის დამზადების პროგრამა მიმდინარე კვარტალისათვის განსაზღვრა 131 მილიონი კუბომეტრის რაოდენობით, რაც შარშანდელ პროგრამას ორჯერ მეტად აღემატება. 1929 წლის ოქტომბერ-დეკემბერში გატანილ იქნა 10 მილიონი კუბო-მეტრი მერქანი და ხე-ტყე, მიმდინარე კვარტალში კი საექსპორტო დავალება 63 მილ. კუბომეტრს აღწევს. ეს პროგრამა ოდნავადაც არ შეიძლება შემცირდეს.

ბრძოლა ბიუროკრატიზმის, მოუწესრიგებლობის, მავნებლობის, კონტრ-რევოლიუციონური კულაკობის და მემარჯვენე ოპორტუნიზმის პრაქტიკული გამოხატულების წინააღმდეგ,—მუდამ ზრუნვა ტყის დამზადების კონკრეტული პროგრამის შესასრულებლად,—აი როგორი ხასიათი უნდა ჰქონდეს ხე-ტყის მომავალ დამზადებას.

ჩვენ უკვე შევუდექით ენერგიულ მზადებას ხე-ტყის საზამთრო მუშაობისათვის, ხოლო ჩრდილოეთის მხრის მრავალ რაიონში უკვე დაიწყო მუშაობა თვით ტყეში.

ხე-ტყის წარმატებით დამზადების უზრუნველსაყოფად ჩვენ ვალდებულნი ვართ ნათლად გავითვალისწინოთ ჩვენი შეცდომები

როგორც საერთო მოვლენა, ადგილებს ჯერ კიდევ არა აქვთ ხის მჭრელთა შეგროვების მტკიცედ დამუშავებული გეგმა, არ იციან, საიდან მიიღებენ მუშებს, სად და რა რაოდენობით უნდა გაიგზავნონ ისინი, არ არსებობს შეფასების ნორმები.

პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ-ჯერობით არ მიუქცევიათ ყურადღება ხე-ტყის დამზადებისათვის. ხე-ტყის დამზადების რაიონებს იმედი აქვთ, რომ ყველაფერს, წვრილმანსაც კი ცენტრიდან მიიღებენ. ეს საზიფათო მოვლენა სულ ახალ და ახალ რაიონებში ვრცელდება. ამავე დროს პურის და საქონლის საკვების მომარაგების, საზოგადო კვების ორგანიზაციის და მუშების აყვანის მხრივ სატყეო მრეწველობის ადგილობრივ სამეურნეო ორგანოებს, კოოპერაციისა და საბჭოების აქტიური დახმარებით, შეუძლიათ საკუთარი სახსრებით გამონახონ ადგილობრივ გზები ხე-ტყის დამზადების მთელ რიგ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. „სოიუზლესპრომ"-სა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებში სატყეო მრეწველობის ადგილობრივი სამეურნეო ორგანოებისა და სატყეო ტრესტებისაგან მიღებულ წერილებიდან და დეპეშებიდან ირკვევა, რომ მათ „მდიდარი ბიძის" იმედი აქვთ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სატყეო მრეწველობის არც ერთი სამეურნეო ორგანო და არც ერთი ტრესტი არ ჰგზავნის ცენტრში სწორ დაკვეთას. ასი და ზოგჯერ უფრო მეტი პროცენტით გადამეტებული დაკვეთები სდგება იმ ანგარიშით, რომ, სულ ერთია, შეამცირებენ და შეკვეცავენ.

ხე-ტყის დამზადებას წელს დაახლოებით მილიონ ნახევარი კაცი დასჭირდება. თუ უკანასკნელი ცნობების მიხედვით ვიმსჯელებთ, მუშა-ხელის შეგროვება მეტად არათანაბრად სწარმოებს. პირდაპირ უნდა ითქვას, მუშების კონტრაქტაციის და შეგროვების ეხლანდელი ტემპი უეჭველად სუსტია. თუ გადამწყვეტი გარდატეხა არ მოხდა, შესაძლებელია წელს მუშა-ხელი უფრო მეტად დაგვაკლდეს, ვიდრე შარშან.

„სევეროლეს"-ი უსათუოდ სწორად მოიქცა, როცა უშუალოდ შეუთანხმდა სოფლის საბჭოებს და ისინი ჩააბა მუშა-ხელის და საპაპანო-ტრანსპორტის მობილიზაციის საქმეში. ჩრდილოეთში ყოველმა სოფელმა იცის, რამდენი ტყის მჭრელი და როდის უნდა გამოჰყოს ტყის დასამზადებლად. ამ გეგმების განხილვა ხდება სოფლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

ტყისმჭრელთა მობილიზაცია სოფლად სწარმოებს კულაკებთან გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, რომლებიც ხელს უწყობენ წაგლეჯის განწყობილებას და აგიტაციას ეწევიან ტყეში სამუშაოდ გასვლის წინააღმდეგ. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები მასების დასარაზმავად და კულაკების და მათი დამქაშებისათვის გადამწყვეტი წინააღმდეგობის გასაწევად.

წელს საკოლმეურნეო სექტორი პირველად იბრუნებს ნამდვილად პირს ხე-ტყის დამზადებისაკენ. კოლმეურნეობები თვალსაჩინო მონაწილეობას მიიღებენ ხე-ტყის დამზადების მუშა-ხელით და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეში. მერქნის გადასატანად საჭირო 800.000 ცხენიდან კოლმეურნეობებმა, ხელშეკრულებების თანახმად, უნდა გაიყვანონ დაახლოებით 240.000 ცხენი და 270.000 ტყის მჭრელი მუშა.

ხე-ტყის დამზადების და კოლმეურნეების ინტერესები და სახსრების მომჭირნეობა მოითხოვს, რომ მუშა-ხელის და სატრანსპორტო საშუალებების მობილიზაცია პირველ რიგში სწარმოებდეს იმ ტყის მახლობელ რაიონებში, სადაც ხე-ტყე უნდა დამზადდეს. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ უფრო შორეულმა რაიონებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა მუშა-ხელის მოწესრიგებულად გაგზავნაში სატყეო სამუშაოზე. აქ რაც შეიძლება უფრო ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული სატყეო ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებს შორის ხელშეკრულებების დადების პრაქტიკა, რაც უკვე სავსებით გამართლებულია.

კოლმეურნეობების მონაწილეობა ხე-ტყის დამზადებაში წელს პოლიტიკურ ამოცანად უნდა გადაიქცეს. კოლმეურნეობების თავისუფალი მუშა-ხელი გამოყენებულ უნდა იქნას ტყის დამზადებაში. შრომის კომისარიატის ორგანოებმა ნამდვილად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა იმ ახალ ამოცანებთან შეფარდებით, რომლებიც უმუშევრობის ლიკვიდაციიდან გამომდინარეობენ.

მუშა-ხელის მოზიდვა ტყის დამზადებისათვის, როგორც საერთოდ მთელი მეურნეობისათვის, მნიშვნელოვან სამეურნეო - პოლიტიკურ კამპანიის წარმოადგენს.

უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა მუდმივი კადრების მობილიზაციას სატყეო მეურნეობისათვის. ამ მუდმივი მუშების საგრძნობი ნაწილი გამოსულია კოლმეურნეობებიდან, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ წელს ხე-ტყის დამზადებაში. საჭიროა ისინი უზრუნველყოფილ იქნან ოჯახიანი ბინით და სასმელ-საჭმელით. ასეთია მთავარი პირობა პროლეტარიატის მუდმივი კადრების შესაქმნელად ტყეში.

მთავრობამ ბინების ასაგებად ტყის მუდმივი მუშებისათვის 10 მილიონ მანეთზე მეტი გადასდო. არსად და არავის არა აქვს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იქნა გამოყენებული ეს მილიონები. ამავე დროს თუ მოხერხებული ბინა არ ექნება მუშას, ისე შეუძლებელია მისი გაჩერება მუდმივ სამუშაოზე ტყეში.

მუშა-ხელის სიმცირე ხე-ტყის დამზადებისა და დაცურებაზე გადაჭრით სვამს ხის მოჭრის მექანიზაციის საკითხს, განსაკუთრებით ხე-ტყის დასაცურებელი, რკინის გზის და [illegible] პუნქტებთან მიტანის მექანიზაციის საკითხს.

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ შარშან გამოსადეგი მერქანის 10 პროცენტზე მეტი ტყეში დარჩა, უმთავრესად იმიტომ, რომ საკმარისი არ იყო ტრანსპორტი. ხე-ტყის დამზადების მიმდინარე სეზონის პროგრამა გადიდებულია საშუალოდ 70 პროცენტით, ხოლო მუშა-საქონლის რაოდენობა რამდენადმე შემცირდა გასულ წელთან შედარებით. ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ ტრაქტორის ძალა უდიდეს როლს ითამაშებს ტყიდან მერქანის გამოტანაში.

თავდაპირველი გეგმით ნავარაუდევი იყო, რომ მიმდინარე წელს ხე-ტყის დამზადებაზე მიღებული იქნებოდა 1.120 ტრაქტორი. შემდეგ ეს ციფრი 770 ტრაქტორამდე შემცირდა და 5 ოქტომბრისათვის მტკიცედ უზრუნველყოფილი იყო 120 ტრაქტორი, ნამდვილად კი მიღებულ იქნა 50 ტრაქტორი. ასე ჰკვეცება ხე-ტყის დამზადების ტრაქტორიზაციის გეგმა.

თვალსაჩინო ნაწილი იმ 560 ტრაქტორიდან, რომლებიც სატყეო ორგანიზაციების განკარგულებაშია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, თუ არ მოხდა მათი სასწრაფოდ შეკეთება.

უაღრესად მნიშვნელოვანია ტყის მუშათა სასურსათო მომარაგების თავის დროზე გაუმჯობესების ამოცანა. ძველი დავა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მოაწყოს საზოგადოებრივი კვება (ხე-ტყის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა თუ კოოპერაციამ), დღემდე არ დამთავრებულა. დროა ბოლო მოეღოს ამ უნაყოფო დისკუსიას და მიღწეულ იქნას, რომ ტყის მუშები ღებულობდნენ ცხელ საჭმელს სამუშაოების ადგილას. საქმის შესწავლა ცხადჰყოფს, რომ ცხელი საჭმელი ხის მჭრელთა შრომის ნაყოფიერებას დაახლოვებით 30 პროცენტით ადიდებს.

ხის საჭრელი ხელსაწყოებით ჩვენ უზრუნველყოფილნი ვართ ბევრად უკეთ, ვიდრე შარშან. ეხლა საქმე დამოკიდებულია ხერხების, ცულების და სხვა იარაღის სწორად განაწილებაზე. „სოიუზლესპრომ"-მა დიდი მუშაობა უნდა ჩაატაროს, რათა გამოარკვიოს ამ მარაგის რაოდენობა და თანაბრად გაანაწილოს მომხმარებლებს შორის. გადაჭრით უნდა მოვუწოდოთ წესრიგისაკენ სატყეო მრეწველობის იმ სამეურნეო ორგანოებსა და ტრესტებს, რომლებიც, თუმცა ხელსაწყოების სრული კომპლექტი აქვთ, უდგენენ ცენტრს ისეთ დამატებით დაკვეთებს, რაც 100 პროცენტით აღემატება მათ საჭიროებას. ამას დეზორგანიზაცია შეაქვს ხე-ტყის დამზადების მომარაგების საქმეში და რაიონებს ართმევს მათთვის საჭირო ხელსაწყოებს.

დამაფიქრებელია ხე-ტყის დამზადების რაიონებისათვის პურისა და საკვების მიწოდების მდგომარეობა. სურსათისა და საქონლის საკვების მიწოდების ის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ, ცუდად სრულდება. ნავიგაციის პერიოდის დამთავრებამდე დარჩენილი დღეები თითებზე ჩამოითვლება და საჭიროა ჭეშმარიტად გმირული ღონისძიებანი იმისათვის, რომ ჩრდილოეთის რაიონები უზრუნველყოფილ იქნან საქონლის საკვებით, განსაკუთრებით თივით.

სამწუხაროდ, ადგილობრივი პარტ. და საბჭოთა ორგანიზაციები განზე უდგიან ხე-ტყის დამზადებისათვის მოსამზადებელ მუშაობას. დავალებები მიყვანილი არ არის ქვედა საფეხურის ქსელამდე. სამხარეო, საოლქო და სარაიონო აღმასკომები, როგორც ეტყობა, რაღაც განსაკუთრებულ მიწვევას ელიან იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე წლის ხე-ტყის დამზადების დაძაბული, მაგრამ უთუოდ რეალური გეგმის შესრულებაში.

დაყოვნება ხე-ტყის დამზადების კამპანიისათვის მომზადებაში მოასწავებს მრავალმილიონ ზარალს და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შეფერხებას. რათა თავიდან ავიცილოთ ჩამორჩენა სამეურნეო ფრონტის ამ ნაწილზე, ხე-ტყის დამზადების რაიონებში მთელი საბჭოთა, პროფესიონალური და პარტიული აპარატები ეხლავე უნდა ავამუშავოთ მიღებული პროგრამის შესასრულებლად. დრო ცოტაღა დარჩა, ხე-ტყის დამზადებისათვის მზადება დაუყოვნებლივ უნდა გაიშალოს.

„პრავდა", 30 ოქტომბერი.

რეფორმისტების მეოხებით ბერლინის მელითონეთა გაფიცვა იშლება

პროფბიუროკრატებმა შეთანხმება დასდეს მთავრობასთან და მწარმოებლებთან გაფიცვის შეწყვეტის შესახებ

მუსოლინი მოითხოვს სამშვიდობო ხელშეკრულებათა გადასინჯვას

ბერლინის მელითონეთა გაფიცვა

რეფორმისტები ამზადებენ გაფიცვის ჩაშლას

პროფბიუროკრატები სცდილობენ ჩაშალონ გაფიცვა

ბერლინი, 29 ოქტომბ. საგაფიცვო კომიტეტის რეფორმისტ თავმჯდომარეთა თათბირი იხილავდა იმ შეთანხმებას, რომელიც დასდეს პროფბიუროკრატებმა ბერლინის ლითონის მრეწველებთან მუშაობის დროებით განახლების შესახებ ძველ პირობებში. თათბირი მეტად მღელვარედ მიმდინარეობდა. მელითონეთა რეფორმისტული კავშირის ბერლინის განყოფილების თავმჯდომარე ურიხი, ისევე როგორც სოციალ - ფაშისტური „ფორვერტს"-ი სცდილობდა მუშების მიღწევად გამოეყვანა ეს შეთანხმება. მან სთქვა, რომ შრომის მინისტრმა შტეგერვალდმა მოლაპარაკების დროს განაცხადა, რომ თუ მიღწეულ არ იქნა შეთანხმება, იგი სავალდებულოდ გამოაცხადებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელფასის 6-8 პროცენტით შემცირების შესახებო.

ურიხის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 13 სოციალდემოკრატმა აქტივისტმა. ყველა ორატორები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ ეთანხმებიან გუშინდელი შეთანხმების ფორმულებს. **ურიხი იძულებული იყო თავი დაეცვა იმ სასტიკ კრიტიკისაგან, რომელსაც მის წინააღმდეგ მისივე აქტივი მიმართავდა. თათბირის მონაწილენი ძალიან ხშირად აწყვეტინებდნენ მას სიტყვას რეპლიკებით: „ეს კომედიაა, შტრეიკბრეხერობაა".**

ურიხის ერთად - ერთ დამცველად თათბირზე გამოვიდა სიმენსის ქარხნების რეფორმისტული საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ გაფიცვის დიდხანს გაგრძელება შეუძლებელია. აქტივის ძლიერი ზეგავლენით ურიხი დასთანხმდა ერთხელ კიდევ მოახდინოს მელითონეთა რეფორმისტული პროფკავშირის წევრებს შორის კენჭის ყრა იმის შესახებ. რომ ღებულობენ ისინი გუშინდელ შეთანხმებას თუ არა. ამასთან ურიხმა განაცხადა, რომ კენჭის ყრა მოხდება მხოლოდ იმ გაფიცულებს შორის, რომელნიც პროფკავშირის წევრები არიან. ურიხმა ცინიკურად დასძინა, რომ ყოველ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელსაც შემოიტანს ვინმე კავშირის ფარგლებს გარედ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს უხეშ ცდას — მოატყუონ გაფიცულნი. ამას ამტკიცებს არა მარტო იმის ცდა, რომ [illegible] გაფიცულ მელითონეებს, რომელნიც პროფკავშირის წევრნი არ არიან, წაართვან გაფიცვის შემდგომი მიმდინარეობის გადაწყვეტილება, არამედ კიდევ უფრო სიმენსის ქარხნების, რეფორმისტული საგაფიცვო კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელიც მოთავსებულია „ფორვერტს"-ში.

ამ განცხადებაში საგაფიცვო კომიტეტი იუწყება, რომ სიმენსის ქარხნებში, ადმინისტრაციასა და პროფკავშირს შორის მიღწეული შეთანხმებით მუშები მუშაობას უნდა შეუდგნენ კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებამდე. ამ ცნობით „ფორვერტს"-ი აშკარავებს, თუ რა საზიზღარ მანევრს მიმართავენ რეფორმისტები, რომლებსაც სურთ გაითამაშონ კენჭის ყრის კომედია გაფიცულთა უმნიშვნელო ნაწილში, რათა დაამტკიცონ, რომ არ არის გაფიცვის გაგრძელებისათვის საჭირო უმრავლესობა — პროფკავშირის წევრთა სამი მეოთხედი (ადს).

ბერლინი, 29 ოქტომბ. ბერლინის მელითონეთა მაგალითის მიხედვით, გერმანიის მთელ რიგ სამრეწველო ცენტრებში მეტალურგიული საწარმოების მუშებს მისცეს გაფრთხილება, რომ მათ ხელფასს შეუმცირებენ.

ეს გაფრთხილება საერთოდ 500 ათასზე მეტ მელითონეს შეეხება.

ბრძოლა ხელფასისათვის მოსალოდნელია აგრეთვე შუშეულობის მრეწველობაში, ვინაიდან სამედიატორო სასამართლომ სწორად სცნო მუშათა ზოგიერთი კატეგორიების ხელფასის 3 პროცენტით შემცირება. ხელფასის შემცირება მრეწველობის ამ დარგში 40,000 მუშას შეეხება.

რეფორმისტული პროფბიუროკრატია არავითარ ზომებს არ ღებულობს იმ მუშების დასაცავად, რომლებსაც უკვე შეუმცირეს ხელფასი, და არ ემზადება საბრძოლველად ხელფასის შემცირების წინააღმდეგ. რევოლიუციონური პროფოპოზიცია [illegible] კამპანიას აწარმოებს ყველა მუშების მთლიანი მებრძოლი ფრონტის შექმნის სასარგებლოდ (ადს).

ბერლინი, 29 ოქტომბერი. გაიმართა რევოლიუციონური პროფოპოზიციის ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის თათბირი. თათბირმა განიხილა ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა პროფბიუროკრატების მიერ ლითონის მრეწველებთან და ბრიუნინგის მთავრობასთან გამცემლური შეთანხმების დადების შემდეგ. საგაფიცვო კომიტეტმა მიმართა გაფიცულ მელითონეებს— განაგრძონ გაფიცვა. საგაფიცვო კომიტეტი მოუწოდებს მებრძოლ მელითონეებს, დააყენონ ქარხნების წინ მასიური საგაფიცვო პიკეტები და რევოლიუციონური პროფოპოზიციის ხელმძღვანელობით მოიწვიონ მუშათა კრებები ქარხნებში.

მოწოდებაში ერთხელ კიდევ ჩამოყალიბებულია რევოლიუციონური პროფოპოზიციის მოთხოვნები (ადს).

მუსოლინი სამშვიდობო ხელშეკრულებათა გადასინჯვის შესახებ

რომი, 29 ოქტომბერი. ფაშისტური პარტიის თანამდებობის პირთა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მუსოლინი, სხვათა შორის, განსაკუთრებით დაწვრილებით შეეხო ევროპის მშვიდობიანობისათვის შექმნილი საფრთხის საკითხს.

„საჭიროა,—სთქვა მუსოლინიმ,—ჩამოეხსნას ორპირობის ნიღაბი ძველ ევროპას, რომელიც ჟენევაში მშვიდობიანობაზე ლაპარაკობს და ამავე დროს ყველგან ომს ამზადებს".

შემდეგ მუსოლინი გადავიდა სამშვიდობო ხელშეკრულებათა გადასინჯვის საკითხზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გადასინჯვა მიმართულია ომის საფრთხის თავიდან აცილებისაკენ.

„სამშვიდობო ხელშეკრულებათა გადასინჯვაში,— განაცხადა მუსოლინიმ,— დაინტერესებულია არა მარტო იტალია, არამედ მთელი ევროპაც". (ადს)

გერმანიის პრესა მუსოლინის სიტყვის შესახებ

ბერლინი, 29 ოქტომბერი. გერმანიის პრესა გაცხოველებით გამოეხმაურა მუსოლინის იმ საპროგრამო სიტყვას, რომელშიაც მან საჭიროდ აღიარა სამშვიდობო ხელშეკრულებათა გადასინჯვა. კერძოდ, „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ი აღნიშნავს, რომ იტალიის მისწრაფება რევიზიის საქმეში მიმართულია აღმოსავლეთისაკენ (ადს).

საფრანგეთის პრესის გამოძახილი

პარიზი, 29 ოქტომბერი. მუსოლინის იმ სიტყვას, რომელშიაც მან მოითხოვა სამშვიდობო ხელშეკრულებათა გადასინჯვა, გაზეთების უმრავლესობა სთვლის საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულად. „ეკო დე პარი" სწერს: **„უკანასკნელი ეჭვები გაიფანტა. საფრანგეთსა და იტალიას შორის გაითხარა უფსკრული, რომელსაც დიპლომატია დიდხანს ველარ ამოავსებს.** მთელი ზაფხულის განმავლობაში საფრანგეთ- იტალიის მოლაპარაკების პერსპექტივები პესიმიზმს ბადებდა. ივლისში მუსოლინიმ უარჰყო ინგლისის ელჩის რჩევა ზომიერების შესახებ და მალე გამოაცხადა, რომ ყოველგვარი მოლაპარაკება საფრანგეთთან უნაყოფოა, ვიდრე გადაჭრილი არ არის საზღვაო განიარაღების საკითხი.

მუსოლინის სურს განიარაღების კომისიის პლენუმის წინ უჩვენოს ევროპას, რომ განიარაღება არ მოხერხდება, თუ იტალია არ დაკმაყოფილდა.

დასასრულ „ეკო დე პარი" აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა უნდა „გააძლიეროს მშვიდობიანობის საქმის დაცვა".

„ამერიკამ უნდა გამოიყენოს საბჭოთა ბაზრის შესაძლებლობანი"

ინჟ. კუპერ ის განცხადება

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. ინჟენერი კუპერი, რომელიც საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა, რუსეთ - ამერიკის სავაჭრო დირექტორებისადმი მიმართვაში აცხადებს, რომ იგი სავსებით დარწმუნებულია საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეში. კუპერი ესალმება საბჭოთა კავშირის სამრეწველო და სასოფლო - სამეურნეო წარმატებას ხუთწლიანი გეგმის განხორციელებაში და დაბეჯითებით ურჩევს ამერიკის მრეწველებს — **გამოიყენონ ის შესაძლებლობანი, რომლებსაც შლის საბჭოთა ბაზარი** და რომლებიც განსაკუთრებით ხელსაყრელია ამერიკის ეხლანდელი კრიზისის პირობებში.

საბჭ. კავშირის შეკვეთები ინგლისში

ლონდონი, 29 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის დიდმა შეკვეთებმა საფეიქრო მანქანებზე უდიდესი ინტერესი გამოიწვია ლანკაშირის საქმიან წრეებში. ლანკაშირის მრეწველებსა და მთავრობას შორის დაიწყო მოლაპარაკება საჭირო კრედიტების მიცემის შესახებ.

აჯანყება კუნძულ ფორმოზოზე

ტოკიო, 29 ოქტომბერი. იაპონიის სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა ადგილობრივი ტომების დიდი აჯანყების შესახებ კუნძულ ფორმოზოზე (იაპონიის კოლონია), ქალაქ მუშის რაიონში (ტაიტიუს პროვინცია). ცნობაში ნათქვამია, რომ აჯანყებულნი თავს დაესხნენ პოლიციელთა სადარაჯოებს მუშში და გაანადგურეს პოლიციელთა თითქმის ყველა საგუშაგოები მუშის მიდამოებში, გადასჭრეს ტელეფონის მავთულები და შესწყვიტეს ყოველგვარი კავშირი გარეშე ქვეყანასთან. როგორც მიღებული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებიდან სჩანს, ქალაქ ხიკეიში აჯანყებულებმა გადასწვეს პოლიციის სამმართველო, სადაც აჯანყებულებს ხელში ჩაუვარდა 100 იაპონელი პოლიციელი. აჯანყებულთა რიცხვი 15.000 კაცს აღწევს. მუშში აღმართეს ფორმოზელთა ნაციონალური დროშა.

აჯანყების ჩასაქრობად ცენტრიდან ტაიტიუს პროვინციაში სასწრაფოდ გაიგზავნა ქვეითა ჯარის რაზმი და 600 პოლიციელი.

ტოკიო, 29 ოქტომბერი. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს სიმბუნ რენგოს ცნობით, კუნძულ ფორმოზოზე მომხდარი აჯანყების მსხვერპლთა რიცხვი ჯერ გამოურკვეველია, მაგრამ ფიქრობენ, რომ ეს რიცხვი მეტად დიდია.

როგორც გაზეთი „ოსაკა ასახი" იუწყება, დაიღუპა 190 იაპონელი. (ადს).

მ. ვ. ფრუნზეს გარდაცვალებიდან 5 წლის თავი

მოსკოვი, 30 ოქტომბ. 30 ოქტომბერს შესრულდა 5 წელიწადი მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს გარდაცვალებიდან.

მეტად მძიმე დანაკლისი იყო ეს საბჭოთა ქვეყნისათვის.

„ამხ. ფრუნზეს სახით, — სთქვა ამხ. სტალინმა, — ჩვენ დავკარგეთ ჩვენი დროის ერთ-ერთი უაღრესად პატიოსანი, უაღრესად უშიშარი რევოლიუციონერი. ამხ. ფრუნზეს სახით პარტიამ დაჰკარგა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ერთგული და დისციპლინიანი ხელმძღვანელი. საბჭოთა ხელისუფლებამ დაჰკარგა ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გაბედული და გონიერი მშენებელი. არმიამ ამხ. ფრუნზეს სახით დაჰკარგა ერთ-ერთი უაღრესად საყვარელი ხელმძღვანელი და შემქნელი".

ამხ. ფრუნზეს სიკვდილი განსაკუთრებით საგრძნობია წითელი არმიისა და ფლოტისათვის, რომელთაც მისი სახით დაჰკარგეს სამხედრო საქმის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე, საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზატორი.

ამხ. ფრუნზე იყო „გამარჯვების ხელოვნების ოსტატი".

ამხ. ფრუნზე იყო წითელი არმიის ფართო გეგმიანი მშენებლობის გზაზე გადაყვანის ერთ-ერთი ინიციატორი. თავისი პარტიული მუშაობის დასაწყისიდანვე (1904 წ.) ამხ. ფრუნზე განსაკუთრებული ინტერესით და გატაცებით შეუდგა საბრძოლველ მუშაობას. მაგრამ ამხ. ფრუნზეს სამხედრო ნიჭი სავსებით გაიშალა თეთრგვარდიელებთან და ინტერვენტებთან ბრძოლის წლებში. ოქტომბრის რევოლიუციის დღეებში ამხ. ფრუნზე სათავეში ჩაუდგა შუისკ-ივანოვსკის რაიონის შეიარაღებულ ძალებს, მოვიდა მოსკოვში 2,000 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმით და მიიღო უშუალო მონაწილეობა მოსკოვის ქუჩებში გამართულ ბრძოლაში.

1919 წლის აპრილიდან დაწყებული, როდესაც ყაზანს, სიმბირსკს და სამარას საფრთხე გაუჩნდა, ამხ. ფრუნზემ სათავე დაუდო კოლჩაკის უკან დახევას. 1919 წლის ივნისში ამხ. ფრუნზე ხელმძღვანელობდა მთელ აღმოსავლეთის ფრონტს, აგვისტოში მეთაურობდა თურქესტანის ფრონტის ჯარს. რომელმაც მოახდინა ურალის ფრონტის ლიკვიდაცია, შემდეგ მოსპო სემირეჩენსკის თეთრგვარდიელთა ფრონტი და დახმარება აღმოუჩინა ბუხარის მშრომელებს ემირის დამხობაში.

ამხ. ფრუნზემ გადასწყვიტა უკანასკნელი და უძნელესი ამოცანა — მოახდინა ლიკვიდაცია ვრანგელის, სამხრეთის ფრონტისა და გასწმინდა თეთრებისაგან მთელი ყირიმის ნახევარკუნძული.

ოპერატიული მოქმედების დროს ამხ. ფრუნზე განსაკუთრებულ სიფართოვეს და გაბედულებას იჩენდა. მან საუკეთესოდ იცოდა ოპერატიული გადაწყვეტილების სითამამის შეფარდება ამ გადაწყვეტილების გულმოდგინეთ მომზადებასთან. მას ღრმად ესმოდა სამოქალაქო ომის ხასიათი, იცოდა მუშათა და გლეხთა არმიის საჭიროებანი და მამოძრავებელი სტიმულები. ყველა ამასთან ერთად იგი განირჩეოდა არაჩვეულებრივი სიმამაცით, გამბედაობით და უშიშროებით.

ამხ. ფრუნზემ სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილისა და თვით კომისრის თანამდებობაზე ორ წელიწადზე ნაკლებ ხანს იმუშავა. მაგრამ ის პრაქტიკული წარმატება, რომელიც ამ დროს მიღწეულ იქნა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა განვითარებაში, და ის უდიდესი პერსპექტივები და იდეები, რომლებიც შეტანილ იქნენ ამ შეიარაღებულ ძალთა სისტემაში და ჩვენი ქვეყნის დაცვის საქმეში, წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ ძირითად ხელმძღვანელ წყაროს მთელი მახლობელი ეპოქისათვის.

დღევანდელი მდგომარეობა წითელი არმიისა, რომელიც ფხიზლად იცავს მშრომელთა პირველ რესპუბლიკას მსოფლიოში, იმის ცხადი დამამტკიცებელია, რომ მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს შრომა ამაოდ არ დაიკარგა და მისი იდეები და მუშათა კლასის იდეები ცოცხალ სინამდვილედ გადაიქცნენ (ადს).

პურის დამზადების ვადა გაგრძელებულია

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1930 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებიდან.

1) პურის დამზადების დაკვრითი ხუთდღიურები გაგრძელდეს 7 ნოემბრამდე.

2) დაკვრითი ხუთდღიურების სახელმძღვანელოდ რაიონებზე მიმაგრებული ამხანაგები დატოვებულ იქნან რაიონებში 7 ნოემბრამდე.

კოლექტიური შრომის ბრწყინვალე შედეგები

კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს პურის დამზადების და შემოდგომის თესვის გეგმა

მოსკოვი, 30 ოქტ. კოლმეურნეობათა ცენტრმა და ტრაქტორცენტრმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ამხ. სტალინს, საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ამხ. იაკოვლევს მიმართა პატაკით პურის დამზადებისა და შემოდგომის თესვის დამთავრების შესახებ.

პატაკში ნათქვამია, რომ **25 ოქტომბრისათვის პურის ჩაბარების გეგმა შესრულდა 102 პროცენტით, შემოდგომის თესვის გეგმა—101 პროც., შემოდგომის ნათესის ფართობი გადიდდა ერთი-ორად.** სახელმწიფოსთვის ჩაბარებული სასაქონლო მარცვლეული მთელი საერთო მოსავლის 50 პროცენტს შეადგენს და 2 ნახ.-ჯერ აღემატება ინდივიდუალური მეურნეობების მიერ ჩაბარებულ მარცვლეულის რაოდენობას, **გათვალისწინებულია გაზაფხულის ნათესის ფართობის გადიდება 50 პროცენტით, მიმდინარე წლის მთელი სათესლე ფონდი სავსებით უზრუნველყოფილია და საზოგადოებრივ ბეღლებში ინახება.** კოლმეურნეობები და სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ახალ მოსავლამდე უზრუნველყოფილნი არიან სურსათ-სანოვაგით და საქონლის საკვებით. გეგმის 102 პროცენტის შესრულებით არ ამოიწურება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მარცვლეულის სასაქონლო პროდუქციის ჩაბარების შესაძლებლობანი; ჩაბარება გრძელდება გაძლიერებული ტემპით და მიზნად ისახავს გეგმის მაქსიმალურად გადაჭარბებას ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავისთვის. ლეწვის და თესვის შემდეგ განთავისუფლებული სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ტრაქტორები და კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალა მუშაობს საანეულო ხვნაზე, რომელიც უკვე შესრულებულია წლიური გეგმის 62 პროცენტით.

მოხდა მთელი ძალების მობილიზაცია ამ უმნიშვნელოვანესი სამ. პოლიტ. დავალების წარმატებით შესრულებისათვის, პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება აიხსნება კოლმეურნეთა, განსაკუთრებით, ტრაქტორისტთა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშათა და აგროტექნიკური პერსონალის აღფრთოვანებით და თავდადებული მუშაობით. ისინი იძლევიან დამკვრელობის და სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე მოწყობილ შრომის სოციალისტური ფორმების საუკეთესო ნიმუშს. აღნიშნული საწარმოო მიღწევების და მასიური პოლიტიკური მუშაობის საფუძველზე არაჩვეულებრივად გაძლიერდა ინდივიდუალურ მეურნეთა შესვლა იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც სამსახურს უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. ეს უზრუნველჰყოფს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რაიონების მთელი ღარიბი და საშუალო გლეხობის ჩაბმას კოლმეურნეობებში გაზაფხულის თესვის დასაწყისისთვის, ყველაფერი ეს მოწმობს, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანია დაკავშირებული სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან, რომელსაც ლენინურად ანხორციელებს პარტია. ყველაფერი ეს მოწმობს აგრეთვე იმას, თუ რა დანაშაულს სჩადიან მემარჯვენე ოპორტუნისტები, როცა ცდილობენ შეაფერხონ პარტიის სოციალისტური შეტევა სოფლად, და რამდენად უსაფუძვლოა „მემარცხენეთა" ლაშქრობა მასების შემოქმედების ჩახშობის შესახებ. მრავალი მილიონი კოლმეურნის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მთელი პროლეტარული კადრისა და პროფტექნიკური პერსონალის სახელით ვკისრულობთ ვალდებულებას 1.000 ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის (რომლებიც 25 მილიონ ფართობს დაამუშავებენ) მშენებლობის დროს გამოვიჩინოთ უფრო მეტი სიმტკიცე და ბოლშევიკური ენერგია პარტიის დავალებათა შესრულებაში და მომავალ სიძნელეთა გადალახვაში. (ადს).

უმუშევრობის ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში

ბერლინი, 29 ოქტომბერი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ერთა ლიგასთან არსებულმა შრომის საერთაშორისო ბიურომ გამოაქვეყნა მსოფლიო უმუშევრობის სტატისტიკა გასულ წელთან შედარებით.

უმუშევრობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს გერმანიასა და ინგლისს. ჰოლანდიასა და ჩეხო-სლოვაკიაში უმუშევართა რიცხვი გაიზარდა ორჯერ, ბელგიასა და კანადაში— სამჯერ. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევართა რიცხვი შეადგენს მუშების საერთო რიცხვის 22 პროცენტს, გასულ წელს კი 9 პროცენტს შეადგენდა. რუმინეთში უმუშევართა რიცხვი 7-ჯერ გადიდდა. ძალიან გაიზარდა უმუშევართა რიცხვი იტალიაში, პოლონეთში და შვეციაში. (ადს)

ვენიზელოსი ანკარაში

ანკარა, 29 ოქტომბერი. როგორც ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, საბერძნეთის პრემიერ- მინისტრი ვენიზელოსი და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიხალაკოპულო შეხვდნენ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს რუშდი-ბეის. შემდეგ ვენიზელოსი და მიხალაკოპულო მიიღო თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ქემალ-ფაშამ.

30 ოქტომბერს ხელს მოაწერეს მეგობრობის ხელშეკრულებას და შეთანხმებას სამხედრო საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ „სტატუს ქვო"-ს საფუძველზე. (ადს)

გავაძლიეროთ ფულადი სახსრების მობილიზაცია

ახალი სესხის რეალიზაცია სუსტად მიმდინარეობს.—ყურადღება არ ექცევა ანაბარების მიზიდვას და თითქმის არაფერი კეთდება თვითდაბეგვრის გატარების დარგში

ვაიძულოთ კულაკობა—დაუყოვნებლივ დაფაროს შეწერილი გადასახადები

როგორ იხდიან კულაკები გადასახადს

საკონტროლო ციფრის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მთელს რესპუბლიკაში აკრეფილი უნდა იქნას 2.682.000 მანეთის რაოდენობით. აქედან კულაკურ მეურნეობებიდან აკრეფილი უნდა იქნეს — 1.034.000 მან.

ფინსახკომის სასოფლო-სამ. გადასახადის განყოფილების ცნობით 21 ოქტომბრისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილი იყო 1.875.511 მანეთი, ანუ საკონტროლო ციფრის 69.8 პროცენტი (გადასახადის აკრეფის შესახებ უკანასკნელი ცნობები 9 რაიონს აქამდე არ გადმოუგზავნია) აქედან კულაკურ მეურნეობებში აკრეფილია 718.998 მანეთი, ე. ი. შესრულებულია ამ სექტორის რესპუბლიკანური საკონტროლო ციფრის 69,5 პროცენტი.

კულაკურ მეურნეობებიდან გადასახადის აკრეფის შესახებ უკანასკნელი ცნობები გადმოგზავნილი აქვს 24 რაიონს, რომლებშიაც საკონტროლო ციფრები შესრულებულია გადაჭარბებით.

თბილისის, გარე-კახეთის, დუშეთის და ერწო-თიანეთის რაიონებს აქამდე სრულიად არ უცნობებიათ ფინანსთა კომისარიატისათვის როგორ მიმდინარეობს კულაკურ მეურნეობების სას. სამ. გადასახადის აკრეფა.

ბორჩალოს, ბაშკიჩეთის, წალკის, ხევის, სიღნაღის, ყვარელის, ბორჯომის, კასპის, ბოგდანოვკის, სამტრედიის, ჭიათურის, ამბროლაურის, ოკრიბის, ცაგერის, ხონის, მარტვილის აბაშის, წალენჯიხის, ხობის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონებს და აჭარისტანის ფინორგანოებს აქამდე არ გადმოუგზავნიათ უკანასკნელი სადეკადო ცნობები კულაკურ მეურნეობათა გადასახადის აკრეფის შესახებ.

ასეთი დაუდევრობა ამ მეტად სერიოზულ კამპანიისადმი ყოვლად დაუშვებელია. ზემოჩამოთვლილი რაიონების პასუხისმგებელ ხელმძღვანელ ამხანაგებს პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს ეს ნაკლი.

გარდატეხა არა სჩანს

(კასპი)

21 ოქტომბრისათვის, კულაკებზე შეწერილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მთლიანად აკრეფილი არ იყო, რაც ყოვლად დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

„ხუთწლედი—4 წელიწადში" სესხის რეალიზაცია სუსტად მიმდინარეობს: საკონტროლო ციფრების მიხედვით რაიონში რეალიზაციაქმნილი უნდა ყოს სესხი (გლეხურ სექტორში)—36.000 მანეთის რაოდენობით. ფაქტიურად, 21 ოქტომბრისათვის რეალიზაციაქმნილი იყო—7.325 მანეთის. უკეთესი მდგომარეობაა კოლექტიურ ხელის მომწერლებში, აქ საკონტროლო ციფრით მიცემული 33.000 მანეთის სესხის რაოდენობაზე ხელისმოწერა, მთლიანად დამთავრებულია.

სახლთაზღვევის წლიური საკონტროლო ციფრი 21 ოქტომბრისათვის შესრულებული იყო—58,5 პროცენტით.

ვადაგადაცილებული სესხები ოქტომბერში უნდა აიკრიფოს—19.000 მანეთის რაოდენობით, 21 ოქტომბრისათვის აკრეფილი იყო მხოლოდ 4.500 მანეთი.

შემნახველ სალაროებში, **მუშა-მოსამსახურეებისაგან ანაბარების სახით შემოსულია, ნაცვლად 500 მანეთისა—2259 მანეთი.** გლეხურ სექტორის ანაბარი შემნახველ სალაროში, 21 ოქტომბრისათვის ითვლებოდა —810 მანეთი. საკონტროლო ციფრით კი ანაბარების შემოტანა გათვალისწინებულია —3.200 მანეთის რაოდენობით.

კასპის რაიონის ორგანიზაციებმა სასოფ. საბჭოში უნდა უზრუნველყონ კადრებით, ხშირად მიავლინონ ხოლმე თავიანთი ინსტრუქტორები ადგილებზე—სას. საბჭოების დასახმარებლად, საჭიროა ადგილებზე პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება; საჭიროა ღარიბი და საშუალო გლეხთა ყურადღების მობილიზაცია ფულადი სახსრების მობილიზაციის ირგვლივ.

ბრიგადა.

სახსრების მობილიზაცია ქუთაისის რაიონში

სოფლად

ოქტომბრის პირველ ორ დეკადაში ფულადი სახსრების მობილიზაციის მდგომარეობა რაიონში ასეთია: ასაკრეფი იყო 180.200 მან. 20 ოქტომბრისათვის აკრეფილია 116.030 მან.

ქალაქად

ასაკრეფი იყო 91.700 მან. 20 ოქტომბრისათვის აკრეფილია 62.612 მან.

სულ ქალაქად და სოფლად ასაკრეფი იყო 271.900 მან. და 20 ოქტომბრისათვის აკრეფილია 183.642 მან.

ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში ჩამორჩენ სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების ორგანოები, და სამრეწველო კოოპერაცია.

ვა—ლი.

ფულადი სახსრების მობილიზაციის მიმდინარეობა 20 ოქტომბრისათვის

რაიონები	აკრეფილ უნდა იქნეს ოქტომბრის განმავლობაში	აკრეფილია 20 ოქტომბრამდე	გეგმის შესრულება % %-ში
თბილისის რაიონი	1056500 მან.	627300 მან.	59,3 %
ბორჩალოს „	533000 „	—	—
ბაშკიჩეთის „	39380 „	8000 „	5,7 „
წალკის „	288070 „	90300 „	31,3 „
ლიუქსემბურგის რაიონი	111900 „	60700 „	54,2 „
გარე კახეთის „	174100 „	29100 „	16,7 „
მცხეთის „	132100 „	41600 „	31.4 „
ხევის „	112600 „	31200 „	27 7 „
ერწო-თიანეთის „	127900 „	5500 „	4,3 „
მანგლის-ალბულაღის რაიონი	198000 „	73500 „	37,1 „
დუშეთის „	194150 „	103700 „	53,4 „
თელავის „	458600 „	121800 „	26,6 „
სიღნაღის „	651000 „	201700 „	31,3 „
გურჯაანის „	518600 „	143600 „	27,7 „
ლაგოდეხის „	277200 „	56000 „	20,2 „
ყვარელის „	329200 „	76800 „	23,7 „
გორის „	704600 „	136300 „	18,4 „
ბორჯომის „	109900 „	149000 „	135,6 „
კასპის „	169580 „	38000 „	22,4 „
სტალინისის „	282700 „	112600 „	39,7 „
ახალ-ქალაქის „	304900 „	116600 „	36,9 „
გორელოვკის „	202800 „	57900 „	28,6 „
ახალციხის „	401600 „	9000 „	2,2 „
ადიგენის „	235430 „	18700 „	7,9 „
ტოლოშის „	64030 „	39500 „	61.7 „
ქალ. ქუთაისის „	307900 „	228000 „	74,1 „
ზესტაფონის „	299900 „	61000 „	20,5 „
სამტრედიის „	244600 „	54300 „	22,2 „
ჭიათურის „	323400 „	167500 „	51,7 „
ამბროლაურის „	271630 „	248100 „	91,3 „
ბაღდათის „	149600 „	40600 „	27,1 „
ვანის „	197600 „	20400 „	10,3 „
ოკრიბის „	92380 „	9000 „	9,7 „
ონის „	140480 „	14900 „	32 „
ჩხარის „	149990 „	32200 „	21,5 „
ქვემო-სვანეთის „	33900 „	— „	— „
ცაგერის „	170280 „	29200 „	17,1 „
ხარაგოულის „	168230 „	109300 „	65 „
ხონის „	111830 „	77400 „	69,2 „
სენაკის „	213200 „	74200 „	34,8 „
მარტვილის „	220400 „	98800 „	44,8 „
აბაშა	155500 „	68300 „	43,9 „
ზუგდიდი	340600 „	66500 „	19,5 „
ჩხოროწყუ	142040 „	25700 „	18,1 „
წალენჯიხა	180100 „	122400 „	68 „
ხობი	125140 „	16500 „	13,3 „
ოზურგეთი	244900 „	106600 „	43,5 „
ლანჩხუთი	159200 „	92500 „	58,1 „
ჩოხატაური	134300 „	132300 „	10,6 „
ზემო-სვანეთი	18600 „	— „	— „
ფოთი	29900 „	5400 „	18 „
სამხრეთ-ოსეთი	4624170 „	1941300 „	42 „
აჭარისტანი	432340 „	137700 „	31,8 „
აფხაზეთი	1216500 „	264500 „	21,8 „
ს უ ლ.	14412850	4847400	33,6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დეკადაში გაიზარდა ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ

სტალინისის რაიონში კოლმეურნეობიდან გასულები მასიურად ბრუნდებიან კოლმეურნეობებში.—იმავე რაიონში არსდება ახალი სას.-სამ. არტელები და იზრდება ძველი კოლმეურნეობები.—საწვავი მასალის ნაკლებობა აბრკოლებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობას

ფართოდ განვავითაროთ დამკვრელობა და სოცშეჯიბრება კოლმეურნეობებში

შემოდგომის სას.-სამ. კამპანია აჭარისტანში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

აჭარისტანში ძალიან მცირეა სახნავ-სათესად ვარგისი მიწის ფართობი. იმპერიალისტურ ომამდე ხმარებაში იყო 100 ათასი ჰექტარი მიწა. ომის შემდეგ ეს რაოდენობა შემცირდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან სოფლის მეურნეობა თანდათანობით მომაგრდა და 1928-29 წელს უკვე მუშავდებოდა 114.000 ჰექტარი მიწა.

აჭარისტანი თავისი მდებარეობით და ჰავით საუკეთესო კუთხეა ტექნიკური და სპეციალური კულტურების განსავითარებლად. ადგილობრივი პირობები ჰქმნიან იმის საშუალებას, რომ აჭარისტანის სოფლები გადაიქცენ კულტურული მეურნეობის ბაზად. და სწორედ ამ საფუძველზე დაიწყო საბჭოთა და კოლმეურნეობათა მშენებლობა აჭარისტანში.

საქართველოს კ.პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა თავისი მუშაობა, დაწვრილებით განიხილა კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხი აჭარისტანში. პლენუმზე აღნიშნული იყო, რომ კოლმეურნეობების მიერ გაშენებულია ისეთი კულტურები, როგორიც არის მანდარინი, ჩაი და სხვ.

აჭარისტანში ამჟამად არის 86 კოლმეურნეობა 1887 წევრით. კოლმეურნეობების განკარგულებაშია 1966 ჰექტარი მიწა. ამრიგად თითო სულზე მოდის 3-4 ჰექტარი. დამუშავებულია სულ 1289 ჰექტარი.

კოლმეურნეთა სოციალური მდგომარეობა იძლევა შემდეგ სურათს: მოჯამაგირე —119, ღარიბი გლეხი—1.308, საშუალო გლეხი—299, მუშა—მოსამსახურე—89. კოლმეურნეობები იყოფიან შემდეგ დარგებად: ჩაის კოლექტივები—38, წევრთა რიცხვი—1129; კოლექტივებს აქვთ 965 ჰექტარი მიწა, საიდანაც დამუშავებულია 386 ჰექტარი. თამბაქოს კოლექტივები—25, წევრთა რიცხვი—398. კოლექტივების მიერ დამუშავებულია 176 ჰექტარი მიწა. მესაქონლეობის კოლექტივი—ორი. ამ კოლექტივებში გაერთიანებულია—194 წევრი. ამას გარდა არის მეფუტკრეობის, ნარინჯოვან კულტურების, მემინდვრეობის კოლექტივები, რომლებიც აერთიანებენ რამოდენიმე ასეულ წევრს.

პლენუმზე აღნიშნული იყო, რომ კოლმეურნეობებს არ ეწევა სათანადო ხელმძღვანელობა, რაც მათ მუშაობაზე ახდენს ფრიად ცუდ გავლენას. კოლმეურნეობებს არა აქვთ საკუთარი საწარმოო გეგმა. ადგილობრივი პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციები, სამწუხაროდ არ იღებენ სათანადო მონაწილეობას კოლექტივების მუშაობაში.

ბევრ კოლექტივში მოუგვარებელია შრომის ორგანიზაციის საკითხი; მიღებული თანხები იხარჯება არა დანიშნულებისამებრ; სუსტად არის დაყენებული კადრების აღზრდის და მომზადების საქმეც.

მომავალი წლისათვის კოლმეურნეობათა რიცხვი შესამჩნევად გაიზრდება. აუცილებლად საჭიროა, რომ მიექცეს სერიოზული ყურადღება მიწათმოწყობას, საწარმოო გეგმების შედგენას, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებას და დისციპლინის განმტკიცებას.

ყოველ კოლმეურნეობაში ფართოდ უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა და, ამასთანავე, მასიური კულტურული მუშაობა დაყენებული უნდა იქნეს თავის სიმაღლეზე.

ი. ხუციშვილი.

გასულები ისევ შემოდიან კოლმეურნეობაში

(წერილი სტალინისიდან)

ამ უკანასკნელად სტალინისის რაიონში ადგილი აქვს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასიურ ლტოლვას კოლმეურნეობებისაკენ.

მოსავლის და კოლექტივიზაციის დღესთან დაკავშირებით სოფ. ულდუში ჩამოყალიბდა ახალი სას.-სამ. არტელი 14 კაცის შემადგენლობით, ასეთივე არტელი არსდება ს. ლუბრუნაში.

რაიონში შემავალ მთელ რიგ კოლექტივებში, ყოველდღიურად შედის ახალი განცხადებები კოლექტივში ჩასარიცხავად. მაგალითად, სოფ. ქვენა-ტკოცის კოლექტივში ამ დღეებში მიიღეს 35 ახალი წევრი, ქვემო - აგარაში 7, ს. ქვედურეთში 6 გლეხი, ძირბში — 8, აროდეთში— 5 და დანარჩენ კოლექტივებშიც შემოსულია რამოდენიმე განცხადებები.

სტალინისის რაიონში ადგილი ჰქონდა კოლექტივებიდან წევრების გასვლას. ეხლა კი, განსაკუთრებით მოსავლის და კოლექტივიზაციის დღესთან დაკავშირებით, გასულები უკანვე ბრუნდებიან კოლექტივში. მაგალითად, გასული წევრები დაუბრუნდნენ კოლექტივებს: ს. ქვედა ხვედურეთში, სამწყროსში, ზემო-ხვედურეთში, ქარელში და ქვიშხეთში.

კოლექტივიზაციის და მოსავლის დღის აღსანიშნავად ს. ქარელში მოეწყო დიდი გამოფენა, რომელიც ატარებდა საზეიმო ხასიათს. გამოფენა გაგრძელდა 3 დღეს.

იმ კოლექტივებს, რომლებმაც წარმოადგინეს საუკეთესო ექსპონატები, მიეცათ ჯილდოები. პირველი ჯილდო მიიღო ქარელის კოლექტივმა; ჯილდოები მიიღეს აგრეთვე რუისის, ქვემო და ზემო ხვედურეთის კოლექტივებმა.

ვ. მ.

ნათესების კონტრაქტაცია

მემინდვრეთა კავშირის ცნობით, ოქტომბრის მესამე დეკადის დამდეგისათვის ნათესების კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 40.481 ჰექტარზე, ე. ი. შესრულებული იყო გეგმის 69,8 პროც. აქედან კოლმეურნეობებში კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 20.875 ჰექტარზე, რაც გეგმის 97,1 პროცენტს შეადგენს და ინდივიდუალურ მეურნეობებში 19.298 ჰექტარზე, ანუ შესრულებული იყო გეგმის 52,8 პროც. რაიონების მიხედვით კონტრაქტაცია შემდეგ სურათს იძლევა: გურჯაანის რაიონში კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 3240 ჰექტარზე, (შესრულებულია გეგმის 77,1 პროც.), სიღნაღის რაიონში 9.578 ჰექტარზე (შესრულებულია გეგმის 95,6 პროც.), ლაგოდეხის რაიონში 4013 ჰექტარზე (გეგმის 63,6 პრ.), ყვარელის რაიონში 1.343 ჰექტარზე (გეგმის 42,9 პროც.), თელავის რაიონში 1609 ჰექტარზე (გეგმის 25,1 პროც.), სტალინისის რაიონში— 7.736 ჰექტ., (გეგმის 81,4 პრ.), გორის რაიონში 5.218 ჰექტარი (გეგმის 87 პროც.), კასპის რაიონში 2.570 ჰექტ. (გეგმის 95,2 პროც.), ლიუქსემბურგის რაიონში 358 ჰექტ. (გეგმის 17,9 პროც.), გარე-კახეთის რაიონში 2.750 ჰექტ. (გეგმის 78,6 პროცენტი), მცხეთის რაიონში 1.000 ჰექტ. (გეგმის 55,6 პროც.) და ერწო თიანეთის რაიონში 1.070 ჰექტარი ანუ გეგმის 44,6 პროცენტი.

კონტრაქტაციის გეგმის შესრულებაში წინ მიდიან—სიღნაღის (შესრულებული აქვს გეგმის 95,6 პროც.) და კასპის (შესრულებული აქვს გეგმის 95,2 პროც.) რაიონები.

ჩამორჩენილი არიან ლიუქსემბურგის და თელავის რაიონები. ლიუქსემბურგის რაიონს შესრულებული აქვს გეგმის მხოლოდ 17,9 პრო. და თელავის რაიონს მხოლოდ 25,1 პროც.

სამანქანო სატრაქტორო-სადგურების მუშაობა ფერხდება

ცეკავშირმა რკინის გზის დირექციას სთხოვა გაეგზავნა სადგ. გარდაბანში ცისტერნები ნავთისათვის. რკინის გზამ ამ მოთხოვნაზე გაგზავნა მაზუთის ჭუჭყიანი ცისტერნები, რომლებშიაც არ შეიძლება ნავთის ჩასხმა. ეს ცისტერნები დღემდე უქმად სდგას გარდაბანში.

იმის გამო, რომ ცისტერნების დიდი რაოდენობა ცეკავშირს მიღებული არ აქვს, შეუძლებელი ხდება ადგილების და **სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მომარაგება ნავთის პროდუქტებით. ეს კი იწვევს ტრაქტორების მუშაობის გაცდენას და თესვის შეფერხებას. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება** ამ საკითხის მოსაწესრიგებლად.

საკოლმეურ. მშენებლობა იზრდება

(ტელეგრაფით სამტრედიიდან)

სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობათა კავშირში ყოველ დღე შემოდის ღარიბი და საშუალო გლეხების განცხადებები კოლმეურნეობაში მიღების შესახებ:

28 ოქტომბერს სხვადასხვა სოფლებიდან შემოვიდა 40 განცხადება; ყველა სოფლებში ყალიბდება კოლმეურნეობის მოწყობის საინიციატივო ჯგუფები. მოსავლის აღება და განაწილება წარმატებით მიმდინარეობს. კულაკების ძირებს და პროვოკაციას ბოლო ელება.

ყველა კოლმეურნეობებში მოსავალი ნაწილდება გაწეული **შრომის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით,**— ეს გარემოება დიდს კმაყოფილებას იწვევს და აძლიერებს ღარიბი და საშუალო გლეხების ახალი მასების ლტოლვას კოლმეურნეობებისაკენ.

ან. კირცხალია.

60 ახალი განცხადება

ტელეფონით — ბორჯომიდან

ბორჯომის რაიონში სამი კოლექტივი არსებობს. უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით მოსავლის განაწილებასთან დაკავშირებით, ადგილი აქვს ღარიბ და საშუალო გლეხების მასიურ ლტოლვას კოლმეურნეობისაკენ.

ამ ორი კვირის განმავლობაში გლეხებმა კოლექტივებში შემოიტანეს 60 განცხადება და მოითხოვენ კოლმეურნეობაში მიღებას. მაგალითად, სოფ. დიდი - მიტარბის კოლექტივში, რომელიც სამაგალითო სას.-სამეურნეო არტელად ითვლება ბორჯომის რაიონში, შეტანილია 40 ახალი განცხადება; ციხის - ჯვარის კოლექტივში გლეხებმა შეიტანეს 12 განცხადება, წითელ - სოფელში კი 8 განცხადება.

60 ახალი წევრი თითქმის მიღებულად ითვლებიან, მათი საზეიმოთ დამტკიცება მოხდება ორ ნოემბერს ბაკურიანში, სადაც, მოსავლის და კოლექტივიზაციის დღესთან დაკავშირებით, მოეწყობა დიდი სას.-სამ. გამოფენა.

კოლექტივებისადმი მტრულად განწყობილი პირები, კულაკები და ყველა ნაძირალები, ამჩნევენ რა არსებულ კოლექტივების განმტკიცება - გამაგრებას, მიმართავენ ყველა ხერხებს, რათა ძირი გამოუთხარონ კოლმეურნეობებს და შემდეგში თავისუფლად ამოისუნთქონ.

22 ოქტომბერს, შუაღამის 12 საათზე, აღნიშნულ ბოროტგანზრახველებმა დასწვეს დიდი - მიტარბის კოლექტივს — 600 ფუთი თივა; მათ ესეც არ იკმარეს. —იმავე ღამეს კოლექტივიდან მოიპარეს სამი მსხვილი რქოსანი საქონელი.

ს. დიდი - მიტარბის კოლექტივი ამით არ შეშინებულა. იქ უფრო მედგრად და კოლექტიურად განაგრძობენ თავის მუშაობას. მაგრამ, დეე იცოდნენ კულაკების დამქაშებმა, რომ ამით ისინი კოლმეურნეობებს ქედს ვერ მოახრევინებენ, ისინი კი ვინც კოლმეურნეობას მავნებლურ ზიანს აყენებენ სასჯელნი იქნებიან სამაგალითოდ და სასტიკად.

ბრიგადირი.

საშემოდგომო თესვა

ბორჯომის რაიონში თესვა დაიწყო 20 ოქტომბრიდან, რისთვისაც უკვე გაწმენდილი იყო—1264 ფუთი სათესლე ხორბალი. თესვის დაწყება დაგვიანებულად უნდა ჩაითვალოს.

უნდა აღინიშნოს, რომ სათესლე ხორბლეულის შეგროვება რაიონში სუსტად მიმდინარეობს, ასევე ითქმის 15 პროც. სათესლე მარაგის შეგროვებაზეც.

მაგალითად, საკონტროლო ციფრის მიხედვით შემოდგომის სათესლე ხორბლეული უნდა აკრეფილიყო—12984 ფუთი, ფაქტიურად 23 ოქტომბრისათვის აკრეფილი იყო მხოლოდ 1264 ფუთი. 15 პროც. სათესლე მარაგის შეგროვება საკ. ციფრით ნავარაუდევია—3630 ფუთის რაოდენობით, იმავე 23 ოქტომბრისათვის აკრეფილი იყო 1529 ფუთი.

ბორჯომის რაიონში მეხილეობის განვითარებას სათანადო ყურადღება ექცევა. ს. ახალდაბის ბაღებში შემოდგომით ჩატარდება შემდეგი სამუშაოები: მოხდება ხეხილის ტანის გაწმენდა; შეგროვილი იქნება დასაწვავად—ხმელი ფოთლები, ძირნაყარი, ხეზე შერჩენილი დამჭკნარი ფოთლები, მავნე მწერთა ბუდეები და სხვა. ეს სამუშაოები ჩატარდება—20 ჰექტარის მანძილზე, რომელსაც დასჭირდება საწამლავი მასალა, ე. ი.—80 კილო რკინის ძალი და ერთი ტონა კირი.

რაიონში ბოსტნეული დაიკავებს—60 ჰექტარს, რისთვისაც შემოტანილი იქნება—70 კილო საბოსტნე თესლეული.

ს. მიტარბის კოლმეურნეობაში აშენებული იქნება ამ შემოდგომაზე (რომლისათვის მუშაობა სწარმოებს) დიდი ბოსელი, რომელიც დაიტევს—50 სულამდე საქონელს. [illegible] საკვების უზრუნველსაყოფად, კოლმეურნეობებში და საწარმოო ამ-ბებში შემოტანილი იქნება—40 ტონა ქატო და კოპტონი. საშემოდგომო კამპანიასთან დაკავშირებით, ბაკურიანის და ციხისჯვარის კოლმეურნეობებში მოეწყობა ძროხის წველადობის კონკურსი. 3 კოლმეურნეობაში შეძენილი იქნება ჯიშიანი ღორები.

ბორჯომში ამ შემოდგომაზე ეწყობა ჩარჩოიანი სკების დასამზადებელი სახელოსნო; შეძენილი იქნება—500 ჩარჩოიანი სკა. მუშაობა უკვე სწარმოებს.

ვ—ო.

გავშალოთ დამკვრელობა და სოცშეჯიბრება კოლმეურნეობებში

საქართველოს კოლმეურნეობათა სისტემის ყველა მომუშავეებს, კოლმეურნეობების მმართველ ორგანოებს და ყველა კოლმეურნეებს

მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან დამთავრდა ხუთწლიანი გეგმის ორი წელი; 1-ლ ოქტომბრიდან დაიწყო 5 წლედის ახალი მესამე წელი, რომელიც აყენებს მთელ რიგ საპასუხისმგებლო პოლიტიკურ და ეკონომიური შინაარსის ამოცანებს; მას აქვს უაღრესად გადამწყვეტი მნიშვნელობა 5 წლედის 4 წელიწადში შესრულების თვალსაზრისით.

განვლილი ორი წელი ხასიათდება მთელი რიგი სიძნელეებით, რომელთა გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასის შემოქმედებითი უნარის საფუძველზე. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა თავისი ისტორიული საქმის კეთებისათვის მოიმარჯვა სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ხერხი, შრომის ნაყოფიერების ასაწევად და მუშაობაში ბოლშევიკური ტემპის განსავითარებლად.

საკოლმეურნეო მშენებლობაში თამამად შეიძლება ითქვას, სოციალისტური მშენებლობის ეს საუკეთესო იარაღი—სოცშეჯიბრება და დამკვრელობა—სათანადოთ არ იყო გამოყენებული, ამიტომ **დამკვრელობა და სოცშეჯიბრება საკოლმეურნეო მშენებლობაში უნდა გადაიქცეს ერთ-ერთ ძირითად ხერხად საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის.**

დღეს ჩვენში, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს ორი ძირითადი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანია: პურის დამზადება და საშემოდგომო თესვა; მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა ყურადღების ცენტრში მოქცეულია ამ მნიშვნელოვან კამპანიის წარმატებით ჩატარება, რომ ეს კამპანიები სათანადოდ იქნას ჩატარებული. კოლმეურნეობებში ერთხელ კიდევ უნდა მოხდეს საკოლმეურნეო ძალების მობილიზაცია, კოლმეურნეობებმა უნდა შეამოწმონ თავიანთი რიგები, გაიწმინდონ კულაკური ელემენტებისაგან და კოლექტიური ენტუზიაზმით იბრძოლონ ახალ გამარჯვებისათვის; განვლილი პერიოდი მკაფიოდ აყენებს საწარმოო საშუალებათა დატვირთვის, **შინაგანი საშუალებების გამოყენების,** შრომის ნაყოფიერების აწევის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ამოცანებს. ამ ამოცანების გადაჭრა მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის სწორად გამოყენებასთან.

დამკვრელობის დღემ უნდა გარდაქმნას მუშაობა და მოახდინოს ძირფესვიანი გარდატეხა მომავალ მუშაობის ახალ საფუძველზე მოწყობის გზით, ეს კი შესაძლებელია სოფლის მოჯამაგირე, ღარიბ და საშუალო გლეხკაცობის მასების თვით აქტივობის საფუძველზე.

ამიტომ საქართველოს კოლმეურნცენტრის გამგეობა საჭიროდ სთვლის შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებათა შესრულებას დამკვრელი დღის აღსანიშნავად:

1) ყველა რაიკავშირებმა უნდა ჩაატარონ წინასწარი მუშაობა დამკვრელი დღის აღსანიშნავად.

2) რაიკავშირებმა უნდა ჩაატარონ ჯგუფური და სარაიონო კრებები, კოლმეურნეობის გარეშე მდგომი ღარიბ და საშუალო გლეხობასთან ერთად კოლექტიური მეურნეობის უპირატესობის მნიშვნელობაზე ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით.

3) ამავე კრებებზე უნდა განიმარტოს სოციალისტურ შეჯიბრების და დამკვრელობის მნიშვნელობა.

4) დამკვრელობის დღისათვის უნდა მომზადდეს წინასწარი პირობები, რომ კოლმეურნეობებმა მტკიცედ გაშალონ ურთიერთშორის სოც.-შეჯიბრება, ხელშეკრულების დადების გზით. აგრეთვე ცალ-ცალკე კოლმეურნეებს შორის უნდა გაიშალოს დამკვრელობა, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური წესით.

5) წინასწარ ყველა კლუბებში და თეატრებში უნდა მოეწყოს საღამოები, საუბრები, მოხსენებები—განვლილი ორი წლის სამეურნეო შედეგების და მიღწევების აღსანიშნავად.

გაკეთდეს კოლმეურნეობათა გამგეობების საანგარიშო მოხსენებები განვლილ სამეურნეო წლის შედეგების შესახებ და დასახულ იქნას მომავალი მუშაობის გეგმები.

6) მოხდეს შემოწმება იმ ხელშეკრულებათა, რომელიც დადებული იყო დღემდე სოც. შეჯიბრების წესით ცალკე კოლმეურნეობათა შორის.

7) სარაიონო და ჯგუფურ კრებებზე ჩამოუშავდეს ღონისძიებები კოლმეურნეობის გარეშე მდგომ ღარიბ და საშუალო გლეხების კოლმეურნეობაში ნებაყოფლობით ჩაბმის შესახებ.

8) თვითეულ კოლმეურნეობებში დასახულ იქნას მორიგ ამოცანად **პურის დამზადების კამპანიის გეგმის გადაჭარბებით შესრულება.**

9) დასახულ იქნას დამკვრელ ამოცანად საშემოდგომო თესვის კამპან. გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

10) გაიშალოს ფართო მუშაობა სახელმწიფო სესხის „5 წლედი—4 წელში"-ს რეალიზაციის დასაჩქარებლად.

11) ჩატარდეს ახალი ბრიგადების შედგენა სადარგო ნაწილებთან გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა მთელი 100 პროცენტით შესრულების შესამოწმებლად.

12) ყველა კოლმეურნეობებთან უნდა ჩამოყალიბდეს დამკვრელი ბრიგადები, რომელნიც იმუშავებენ კოლმეურნეობაში დაშვებულ ნაკლების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კოლმეურნცენტრის გამგეობა.

რას ვაკეთებთ მოსავლის და კოლექტივიზაციის დეკადაში

(წერილი შირაქიდან)

მოსავლიანობის და კოლექტივიზაციის დეკადის ჩასატარებლად მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო 2 ოქტომბრიდან. დეკადის ჩასატარებლად შედგენილია გეგმები შირაქის საბჭოთა მეურნეობაში, ზემო ქედში, არხილოს კალოში და ქვემო ქედაში. ამ გეგმის მიხედვით 20 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე ტარდება შემდეგი ღონისძიებანი;

ზემო ქედში, არხილოს-კალოზე და ქვემო ქედში მშრომელ გლეხობას ფართოდ აცნობენ ადგილობრივი კოლმეურნეობების და შირაქის საბჭოთა მეურნეობის მიღწევებს. ამავე სოფლებში 2 ნოემბერს მოეწყობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა; სოფ. ზემოქედში 2 ნოემბერს მოეწყობა წითელი ბეღლის ფონდის გასაძლიერებლად 3 ჰექტარი მიწის დათესვა და სხ.

მოსავლიანობის და კოლექტივიზაციის დეკადა ჩვენთან იქცევა განსაზოგადოებული სექტორის უპირატესობის პროპაგანდის, ღარიბი და საშ. გლეხობის ახალი მასების ჩაბმის და ახალი კოლმეურნეობების სრული ჩამოყალიბების დეკადათ, რაც სავსებით დაკავშირებულია შემოდგომის თესვის კამპანიასთან.

ამჟამად მიმდინარეობს გაცხოველებით საუბარ-განმარტებები და კოლექტივების წესდების მასიური დამუშავება ხსენებული სოფლების მშრომელ გლეხობაში. 2 ნოემბერს მოხდება ზემოქედის არხილოს-კალოს და ქვემოქედის კომკავშირის და პარტიის წევრების მასიურად შესვლა კოლმეურნეობაში.

გამოყოფილია კოლექტივის დაარსების მსურველ გლეხობის მიერ საინიციატივო ჯგუფი, ამ ჯგუფს დავალებული აქვს შეკრიბოს კოლექტივის დაარსების მსურველთ განცხადებები იმ ანგარიშით, რომ ორ ნოემბერს მოხდეს ახალი კოლმეურნეობების მასიური ჩამოყალიბება.

შირაქის საბჭოთა მეურნეობამ გადასწყვიტა, რათა ორ ნოემბერს ყველა მის განკარგულებაში მყოფ საწარმოო იარაღ-მანქანებით და მუშა-საქონლით დაეხმაროს ზემოქედის, არხილოს-კალოს და ქვემოქედის ახლად ჩამოყალიბებულ კოლექტივებს და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხობას.

ი. ო.—ა.

კოლმეურნე ექსკურსანტების დემონსტრაცია თბილისში

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის აღსანიშნავად მიწა-ტყის კავშირის ხელმძღვანელობით თბილისში მოეწყო დიდი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ხსენებული **გამოფენის დასათვალიერებლად** უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში თბილისში თავი მოიყარა კოლმეურნეთა დიდმა რაოდენობამ, რომლებიც საშეფო საზოგადოების ხელმძღვანელობით ჩამოსულნი არიან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან.

გუშინ დილით კოლმეურნეთა ექსკურსიებმა ორგანიზაციულად დაათვალიერეს გამოფენა; გამოფენის ხელმძღვანელები დალაგებით უხსნიდნენ მათ თვითეულ თვალსაჩინო ექსპონატს. გამოფენის დათვალიერების შემდეგ კოლმეურნეთა ექსკურსიები მწყობრი კოლონებით და სასულე ორკესტრის თანხლებით გაემგზავრნენ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ზოოტექნიკურ სადგურის დასათვალიერებლად. ზოოტექნიკური სადგურის დათვალიერების შემდეგ ექსკურსანტები მწყობრი რიგებით გაემართნენ ქალაქისაკენ. ლენინის ქუჩის და ელბაქიძის დაღმართის კუთხეში კოლმეურნეთა დემონსტრაციას შეუერთდნენ მუშათა კოლონები, რომლებიც წამოსული იყვნენ ფაბრიკა-ქარხნებიდან კოლმეურნეთა დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

ნაშუადღევის 2 საათზე მუშებისა და კოლმეურნე გლეხების დემონსტრაცია გაემართა რუსთაველის პროსპექტით. გზა და გზა დემონსტრაციას უერთდებოდა მუშათა ახალ-ახალი კოლონები. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. და საშეფო საზოგად. შენობის წინ მოეწყო მიტინგი. მიტინგი გახსნა საშეფო საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. ჩილაჩავამ.

— „საქართველოს მშრომელი გლეხობა და მუშათა კლასი,—სთქვა თავის სიტყვაში ამხ. ჩილაჩავამ,— დღეს ზეიმობს მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღეს და ჯამს უკეთებს სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად ჩატარებულ მუშაობის შედეგებს.

კომუნისტურმა პარტიამ ჯერ კიდევ მე-15 პარტკონფერენციაზე განიხილა რა ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების მსვლელობა, დაასკვნა, რომ სოფლის მეურნეობის სუსტი განვითარებისა და მრეწველობის განვითარებისაგან დიდათ ჩამორჩენის მიზეზი არის სოფლის მეურნეობის დაქუცმაცება და მისი წარმოების ინდივიდუალური ფორმა,— რომ სოფლის მეურნეობის სწრაფი ზრდა შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ მისი კოლექტივიზაციის გზით; რომ ამ საქმის განხორციელებაში გლეხობას გვერდში უნდა ამოუდგეს მუშათა კლასი, რომელმაც **ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს გლეხობას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაში".**

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნე გლეხები: მუსაკარ-ოღლი, შალა, გურამიშვილი, თორდანოვი და საშეფო საზოგადოების წარმომადგენელი საყვარელიძე.

საქართველოს პროფსაბჭოს შენობასთან დემონსტრაციას პროფსაბჭოს მიმდინარე პლენუმის სახელით მიესალმა ამხ. ა. ფანცულაია.

კოლმეურნეთა სახელით საპასუხო სიტყვით გამოვიდა სამთავისის კომუნის წევრი ამხ. უზნაძე.

— „ღარიბმა და საშუალო გლეხობამ—განაცხადა ამხ. უზნაძემ, კარგად იციან, რომ ისინი მხოლოდ კოლმეურნეობის საშუალებით დააღწევენ თავს გაჭირვებას. გლეხობას სწამს, რომ სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში ქალაქის მუშათა კლასი მას მხარში ედგომება და ამ რწმენით მტკიცედ განაგრძობს იგი ბრძოლას კოლექტივიზაციის ფრონტზე. მტერი ბევრი გვყავს როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მაგრამ მუშების, ღარიბ და საშუალო გლეხების მტკიცე კავშირი ურყევი თავდებია, რომ ჩვენ საბოლოოდ ავლაგმავთ ყველა ჯურის მტრებს — პირველ რიგში კულაკებს და გამარჯვებას მოვიპოვებთ".

პროფსაბჭოს შენობიდან დემონსტრაცია გაემართა თავისუფლების მოედნისაკენ, სადაც დიდი მიტინგი შედგა. სიტყვებით გამოვიდნენ მიწსახკომის წარმომადგენელი ამხ. გ. ლომთათიძე, პროფსაბჭოს პლენუმის სახელით ამხ. ხარიძე და აღმასკომის სახელით ამხ. ქიცარავა.

მიტინგი დაიხურა 4 საათზე.

საღამოს პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიმართა მუშებისა და კოლმეურნეთა შეხვედრის საღამო.



დამკვრელი მუშა-ქალი

ფართოდ გავშალოთ მოსამზადებელი მუშაობა

საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დასაწყებად

რესპუბლიკანური კომისია მუშაობას შეუდგა

საქართველოში საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დაწყების ვადათ გამოცხადებულია 1-ლი ნოემბერი. ნოემბერში მთელი რესპუბლიკის ფარგლებში ჩატარებული იქნება არჩევნებისათვის სამზადისი, ადგილობრივი საბჭოები საანგარიშო მოხსენებებით წარსდგებიან ამომრჩეველთა წინაშე, ხოლო 1-ლი დეკემბრიდან დაიწყება არჩევნები.

კამპანიის სახელმძღვანელოთ საქართველოს ცაკმა გამოჰყო ცენტრ. რესპ. საარჩევნო კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. მთელ მუშაობას რესპუბლიკანური კომისია ატარებს ცაკის საორგანიზაციო განყოფილების აპარატით.

გეგმების წარმოდგენას აჭიანურებენ

ცენტრალურმა რესპუბლიკანურმა კომისიამ გადასწყვიტა კამპანიის ჩატარებაში ფართოდ ჩააბას ყველა პროფესიონალური, კოოპერატიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამ მიზნით კომისიამ წინადადება მისცა ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, დაუყოვნებლივ შეიმუშაონ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში მათი მონაწილეობისა და მუშაობის გეგმა. საკუთარი სამუშაო გეგმები უნდა წარმოედგინათ—ყველა სახალხო კომისარიატებს, პროფკავშირებს, სამხედრო უწყებებს, ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას, სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ორგანიზაციებს, „ავტოგზა"-ს, [illegible], რადიო-ცენტრს, სახელგამს, სახკინმრეწვს და სხ. სამუშაო გეგმების წარმოდგენის ვადათ დასახელებული იყო 22 ოქტომბერი, მაგრამ დღესაც ჩამოთვლილი ორგანიზაციების უმრავლესობას ასეთი გეგმები არ წარმოუდგენია.

საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია—უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიაა და თუ ზოგიერთმა ორგანიზაციებმა აღნიშნული კამპანიისადმი კვლავ ასე გულგრილი დამოკიდებულება გამოამჟღავნეს, ცხადია შედეგები არ იქნება დამაკმაყოფილებელი.

სოც. შეჯიბრების მეთოდის ფართოდ გამოყენება

ცენტრალურმა რესპ. კომისიამ საჭიროდ აღიარა საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში ფართოდ იქნეს გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრების მეთოდი. კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებაზე სოც. შეჯიბრება გაიმართება ცალკე რაიონებსა, ქალაქებსა და სასოფლო საბჭოებს შორის.

რესპ. ცენტრ. საარჩევნო კომისიამ, თავის მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აზერბეიჯანის ცენტრ. საარჩევნო კომისია, რომელმაც უკვე მიიღო გამოწვევა.

არჩევნებისათვის წინასწარი სამზადისი სამუშაოების სახელმძღვანელოდ რაიონულ საარჩევნო კომისიებთან მიმაგრებული იქნებიან, ცენტრ. საარჩევნო კომისიის წევრები. ამავე მიზნით დასმულია საკითხი, ადგილებზე მიმაგრებულ იქნენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და უწყებების პასუხისმგებელი წარმომადგენლები და ცაკის წევრები.

10 ნოემბრისათვის, თბილისში მოწვეულია —რაიაღმასკომების, ქალაქის საბჭოების და ავტონომიური რესპუბლიკების ცაკების საორგანიზაციო განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი, რომლის დღის წესრიგშიაც დასმულია საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

რა ევალება სახკინმრეწვს და ფ.-ტ. უწყებას

საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისათვის სახკინმრეწვს დავალებული აქვს მუშაობის მოკლემეტრაჟიანი სურათები და მულტიპლიკაციური ლოზუნგები საანგარიშო კამპანიასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. მთელი კამპანიის განმავლობაში რესპუბლიკაში არსებულ ყველა კინოთეატრებში უნდა ხდებოდეს აღნიშნული სურათებისა და ლოზუნგების დემონსტრაცია.

გარდა ამისა, სახკინმრეწვმა ადგილებზე უნდა დაგზავნოს ახალი ყოფა-ცხოვრების მაჩვენებელი ფილმები, ხოლო თვით კამპანიის მსვლელობის პერიოდში ადგილებზე უნდა გადაიღოს ახალი კინო სურათები (კინოქრონიკა ან კინო-მიმოხილვა), რომლებიც კამპანიის დასასრულამდე უნდა გაიგზავნონ ადგილებზე.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას დაევალა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შესახებ ყველა ამანათები, გაგზავნილობები და კონვერტები დანიშნულების ადგილზე გადაგზავნოს რიგს გარეშე.

რაიონებში არსებულ სატელეფონო სადგურებზე კამპანიის დამთავრებამდე უნდა იქნეს შემოღებული განუწყვეტელი მორიგეობა (ღამითაც). უნდა იქნეს მიღებული ყოველგვარი ზომები, კავშირგაბმულობის ქსელის წესიერი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

თათბირი საბჭოების გადარჩევის საკითხებზე

10 ნოემბერს საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტთან მოწვეულია ერთეულების ცაკ-ების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების, ქალაქის აღმასკომებისა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება საბჭოთა გადარჩევის ძირითადი საკითხები.

თათბირზე წარმოდგენილ უნდა იქნას საინფორმაციო მასალა და სრული ცნობები ადგილებზე საანგარიშო - საგადასარჩევო კამპანიასთან დაკავშირებით ჩატარებული მუშაობის შესახებ, ცნობები ავტონომიური რესპუბლიკების, საქალაქო, რაიონული და სოფლის საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შესახებ, ცნობები საარჩევნო უბნების შესახებ, კამპანიის გეგმის შედგენისა და წარმოდგენის შესახებ, თვით ამ გეგმის პირობები და სხვ.

თათბირის მონაწილეებს ყოველგვარი კმაყოფა ეძლევა სათანადო ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ.

ოქტომბრის მონაპოვართა ერთგულ დარაჯს

აზერბეიჯანის მსროლელ დივიზიას

ამიერ - კავკასიის ცაკის და საქართველოს ცაკის პრეზიდიუმები მხურვალე სალამს უძღვნიან აზერბეიჯანის მსროლელ დივიზიას, რომელიც ათი წლის განმავლობაში შეუსუსტებელი ენერგიით მედგრად იბრძოდა აზერბეიჯანში მშრომელთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის. უძველესმა ნაციონალურმა დივიზიამ — აზერბეიჯანის მსროლელმა დივიზიამ — თავისი არსებობის განმავლობაში საუკეთესოდ გამოიჩინა თავი პირველად ომის პირობებში — სამოქალაქო ომის ფრონტზე, განუწყვეტელ შეტაკებებში მუსავატელებთან და დაშნაკელებთან, ხოლო შემდეგ მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზედაც, სადაც იგი უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამიერკავკასიის ეროვნებათა ძმურად შეკავშირების და აზერბეიჯანის მუშებისა და გლეხების სამხედრო - პოლიტიკური მომზადების საქმეში.

ამიერ - კავკასიის ცაკის და საქართველოს ცაკის პრეზიდიუმები ესალმებიან აზერბეიჯანის მსროლელ დივიზიას მის სახელოვან იუბილეს დღეს და გამოსთქვამენ რწმენას, რომ იგი მომავალშიაც იდგომება ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე, ლენინის დიადი საქმის, მშრომელთა ხელისუფლების, საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის დასაცავად.

გაუმარჯოს აზერბეიჯანის წითელ მუშურ - გლეხურ მსროლელ დივიზიას!

გაუმარჯოს მთელი საბჭოთა კავშირის წითელ არმიას!

გაუმარჯოს მის ბელადს — ლენინის პარტიას — საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბ)!

ამიერ - კავკასიის ცაკის და საქართველოს ცაკის თავმჯდომარე
მიხა ცხაკაია

ქართული ხელოვნების ძეგლების გამოფენა გერმანიაში

16 ოქტომბერს ქართულ ხელოვნების ძეგლების გამოფენა ქ. მიუნხენში გაიხსნა და გაიგზავნა ის ბავარიის ცენტრში. ეს უკანასკნელი პუნქტია გამოფენისა თანახმად წინასწარ შემუშავებულ გეგმისა, რის შემდეგაც გერმანულ ორგანიზაციების და მათ შორის დამხვდურ საზოგადოების წარმომადგენელთა თანდასწრებით ექსპონატები ჩაწყობილი იქნება ყუთებში და საქართველოში გადმოგზავნილი. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს გამოფენის შედეგებზე ვილაპარაკოთ.

გამოფენა მოეწყო ოთხ მთავარ ცენტრში გერმანიის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებისა: ბერლინში, კელნში, ლეიპციგში და მიუნხენში. ქალაქების ასეთ შერჩევას გარკვეული მოსაზრებანი ედო საფუძვლად. ზედმეტია ბერლინზე ლაპარაკი, რამდენადაც იგი პოლიტიკურადაც და ფაქტიურადაც გერმანიის ცენტრია, ცხადია, გამოფენა პირველად აქ გაიხსნა. სამწუხაროდ, გამოფენა ბერლინში ისეთ დროს გაიხსნა, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქიდან გასული იყო საგარაკოდ. მიუხედავად ამისა, გამოფენა მთელი თვე ღია იყო და იშვიათის სიმრავლით იზიდავდა მნახველებს, რომელთა რიცხვი რამოდენიმე ათასს აღწევდა.

აგვისტოს შუა რიცხვებში გამოფენა ბერლინში დახურულ იქნა და გაიგზავნა ქ. კელნში, ბერლინის შემდეგ კელნი შერჩეულ იქნა იმ მოსაზრებით, რომ ოკუპაციიდან ახლად განთავისუფლებულ რაინლანდის სხვა საზეიმო წამოწყებიდან ერთად ცენტრმა ქართული ხელოვნების გამოფენის გაგზავნაც საჭიროდ და მიზანშეწონილად დაინახა. ჩვენც ამან საშუალება მოგვცა რაინლანდის მოსახლეობის საზეიმო სულიერ განწყობილებაში ჩვენი ხელოვნების ძეგლებით მონაწილეობა მიგვეღო. განსაკუთრებულის ინტერესით და აღფრთოვანებით შეგხვდენ რაინლანდელები და გამოფენაც იშვიათად მოაწყვეს. დარბაზი უფრო მოხერხებული აღმოჩნდა, ვიდრე ბერლინში: ცალ-ცალკე ოთახები, სადაც ერთი რომელიმე განყოფილება გამოფენისა თავსდებოდა, გაცილებით უფრო გარკვეულ და ნათელ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ხელოვნების ძეგლების გამოფენას ბევრი მნახველი დაესწრო. გარდა ადგილობრივი მცხოვრებლებისა, მრავლად იყვნენ უცხოელებიც, შომეტებულად ინგლისელები და ამერიკელები, ეს უკანასკნელნი ვანუწყვეტლივ მოგზაურობენ სანახაობის მიზნით ამ დიდ გზაზე, რომელიც ინგლისიდან ოსტენდეზე და აახენზე გავლით რეინის გზით სამხრეთ ევროპისაკენ მიიმართება. თვით კელნიც მათთვის საკმაოდ მიმზიდველი ცენტრია. აქ მრავალი ისტორიული ძეგლია, რომელსაც ჩვენსაზე ნაკლები სიძველე არ ახასიათებს. კელნი, როგორც ცნობილია, ძველი რომაული კოლონიაა. მისი ისტორიული სახელიც სწორედ აქედან წარმოიშვა (კოლონია), რომელიც რეინზე ერთ-ერთ სიმაგრის როლს ასრულებდა. ამ სიმაგრის ძეგლების ნაშთი დღესაც შემოსალტავს ქალაქის უძველეს —ცენტრალურ ნაწილს და რომაულ აღნაგობის ერთ დამახასიათებელ ძეგლთაგანს წარმოადგენს—ამოყვანილ კიდურებით და შუაში უმწყობროდ ჩაშვებულ ქვა-კირით, ამავე კელნშია მოთავსებული ცნობილი კელნის ტაძარი მე-11—12-ს, რომელიც გოთიკის საუკეთესო ძეგლთაგანია.

ამრიგად რაინის ნაპირებზე მთელი ქვეყნის დასანახად ერთი- მეორეს შეხვდნენ მეტოქების მიზნით ძველი ქართული სახელოვნო კულტურა და დასავლეთ ევროპის კულტურის ერთი უდიდესი ნაკვეთი, რომაელებიდან მოყოლებული, რომანულ და გოთიკურ ხანაზე გავლებული დამფასებლები გარდა გერმანელებისა, როგორც ითქვა, ინგლისელები და ამერიკელები. კულტურულ წარსულით მეტოქეობისათვის უკეთესი სიტუაცია ევროპის დღევანდელ ვითარებაში, ძნელი მისაღწევია. ჩვენმა გამოფენამ რომ თავის მიზანს მიაღწია უკვე იქიდან სჩანს, სიტყვა რომ თავის ქებისათვის არ დავიხარჯოთ, რომ მთელი საზოგადოებრიობა, როგორც პრესა, ისე სხვ., მაგ., სიძველეთა დაცვის ყრილობა, რომელსაც პროფ. გ. ჩუბინაშვილი დაესწრო, როგორც სრულუფლებიანი წევრი, მოითხოვდნენ გამოფენის ვადის გაგრძელებას, რაც ჩვენ, სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო, ვერ მოვახერხეთ.

ქ. კელნში გამოფენის გახსნა იმავე წესით მოხდა, როგორც ბერლინში.აქაც ქალაქის თვითმმართველობის მეთაურმა—ობერბურგერმაისტერმა წარმოსთქვა შესავალი სიტყვა, რომელშიაც საქართველოს წარსულ კულტურაზე და დღევანდელ აღორძინებაზე ილაპარაკა, აღნიშნა საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიღწევები და მისწრაფებანი ამ კულტურულ აღორძინების საქმეში, რომლის ერთი საბუთთაგანი მან კულტურულ ნაშთების დაცვაში და მათი ევროპისაკენ გამოფენაში დაინახა. ქალაქ კელნის, როგორც რაინლანდის ცენტრის, სახელით მან მადლობა გამოუცხადა საბჭოთა მთავრობას კულტურულ დაახლოვების ცდისათვის. მანვე მადლობით მიმართა იქვე მყოფ ჩვენი საელჩოს წარმომადგენლის ელჩის მოვალეობის აღმასრულებელს ამხ. ბროდოვსკის და წაიკითხა დეპეშა, რომლითაც ის მიმართავდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძეს.

ჩვენი ელჩის მოვალეობის აღმასრულებელი ამხ. ბროდოვსკის სიტყვის შემდეგ რომელმაც საკავშირო საბჭ. მთავრობის სახელით ილაპარაკა, შესავალი მოხსენება საქართველოს ხელოვნების განვითარების მთავარ ეტაპების შესახებ გააკეთა პროფ. ჩუბინაშვილმა, რომლის დამთავრების შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ თავისი კმაყოფილება მხურვალე ტაშით გამოხატა. კელნში გამოფენა ორ კვირას იყო და ის მრავალ ათასმა ინახულა.

თანახმად გეგმისა, რადგან ბერლინში გამოფენა არდადეგებში იყო, გადაწყვეტილ იქნა გამოფენის გადატანა ლეიპციგში, რომელიც ახლოა ბერლინთან. ამით ერთისა და იმავე დროს საქსონიის ინტერესი და ბერლინელების ერთი მეორეს შეუერთდა. აუარებელი ბერლინელი, რომელიც ზაფხულში ქალაქში არ იყო, ადვილად ახერხებდა ორ-ორ ნახევარ საათში პირდაპირი მატარებლით ლეიპციგში ჩამოსვლას. ბევრი როგორც მეცნიერი, ისე კერძო მოქალაქე ბერლინიდან დაესწრო გამოფენის გახსნასაც და შემდეგაც გამოფენის სანახავად მოდიოდა. ლეიპციგში გამოფენის გახსნაზე და სხვა დღეებშიაც ბევრი მნახველი მოვიდა, მაგრამ გამოფენის გახსნას ისეთი საზეიმო ხასიათი აღარ ჰქონდა, როგორც ბერლინში ან კელნში.

უკანასკნელი ადგილი გამოფენისა იყო ბავარიის მთავარი ცენტრი— მიუნხენი, რომელიც ცნობილია, როგორც ხელოვნების დიდი ცენტრი, გამოფენა მოეწყო თვით „ხელოვნების აკადემიამ"Kunstakademie-მ.

საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რა დიდ მოვლენათ იქნა ცნობილი ჩვენი გამოფენა. მიუნხენის Kunstakademie ტონის მიმცემია ხელოვნების შეფასებაში არა მარტო გერმანიაში, არამედ მის საზღვრების იქეთაც.

ბავარიაში ცოტა თავისებური ხასიათი ჰქონდა გამოფენის გახსნას. ცნობილია, რომ ბავარია კატოლიციზმის ცენტრია გერმანიის ფედერაციაში. მართალია, რაინზე გაჭიმული და მთელ რიგ ზღუდეებით, როგორიცაა— აახენ, კელნი, მაინც და სხვ., გამაგრებული კატოლიზმის ფრონტი არა ნაკლებ სიძლიერის მქონეა, მაგრამ ბავარიის ხვედრი წონა მეტია დღევანდელ პოლიტიკურ-კულტურულ სიტუაციაში. ეს დაეტყო გამოფენის გახსნასაც. ბავარიის მთავრობამ არ მოაწყო, როგორც ეს სხვაგან ყოველგან მოხდა, ოფიციალური გახსნის ზეიმი, რადგან საბჭოთა სტუმრების ოფიციალურ შეხვედრას მოერიდა. ჩვენი საელჩოდან ბერლინმა მოავლინა მიუნხენში მოსკოვიდან ახლად ჩამოსული კულტურულ საკითხების ახალი გამგე ამხ. ვინოგრადოვი, სიტყვები, ცხადია, არ ყოფილა, მაგრამ გამოფენას აუარებელი ხალხი ნახულობს და შეუდარებლად მეტ ინტერესს იჩენს, რისი მიზეზი, როგორც ემჩნევა, ჩვენი ექსპონატების რელიგიური თემატიკა და კომპოზიცია უნდა იყოს.

მიუნხენიდან გამოფენა საქართველოში წამოვა. ქონების შემოწმება და ჩაწყობა მოხდება კომისიის თანდასწრებით, გამოფენა იმავე პროგრამით მოეწყობა თბილისში.

მრავალ ქალაქებიდან, როგორც აღინიშნა, მოდის ან „გერმანელ საზოგადოების" ან ჩვენს სახელზე მიპატიჟება და თხოვნა, რომ გამოფენა მათთანაც მოეწყოს, მაგრამ ჩვენ, დროის უქონლობის გამო, იძულებული ვართ უარი უთხრათ. გადაწყვეტილი მხოლოდ ჩრდილო გერმანიაში ორ ადგილს: კილში და კენიგსბერგში ბუნდოვანის სურათების ჩვენება პროფ. გ. ჩუბინაშვილის ლექციით.

რას მივაღწიეთ და რა დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ?

ევროპის და განსაკუთრებით გერმანიის ფართო წრეებმა და მეცნიერთა პერსონალმა პირველად დაინახა უშუალოდ საქართველოს კულტურული სახე. ყველას კარგად ესმის და ევროპა სამისოდ საკმაოდ განათლებულია, რომ ხელოვნების განვითარება მთელი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებასთანაა დაკავშირებული. ამიტომ დიდმა ინტერესმა ხელოვნების მიმართ შექმნა დიდი ინტერესი ქვეყნისადმი. ეს ინტერესი მარტო წარსულს კი არ ეხება, არამედ აწმყოსაც, რადგან ძეგლების დაცვა, მოვლა და შესწავლა დიდ საქმედ ითვლება ევროპის საზოგადოებრიობის თვალში.

ბევრმა ალბად იცის კლემანსოს ცნობილი ტირადა:—„შიში მაცახცახებს, როცა წარმოვიდგენ, რომ გამარჯვებული პროლეტარიატი ლუვრის ან დრეზდენის გალერეიაში შეიჭრება". რა მოგვცა სინამდვილემ? გამარჯვებული პროლეტარიატი „შეიჭრა" საქართველოს არქეოლოგიურ ნანგრევებში... ჩამონგრეულ კედლების კვლავ ამოსაყვანად, გადაგლეჯილ სახურავის კვლავ ასაგებად, უპატრონოდ მიგდებულ ძეგლების მოსავლელად, შესაკეთებლად და მთელი ქვეყნისათვის თავისი კულტურული სახის საჩვენებლად.

სპეციალურად, რაც შეეხება იმათ, ვინც ქართულ სიძველეთა ერთი ნაწილი უკვე ჩვენზე წინ ევროპაში საქონლის სახით „ბაგაჟით" წამოიღეს, ჩვენის ცნობით, ისინი მეტად უხერხულად გრძნობენ თავს. ეხლა საბოლოოდ გასაგებია, თუ რატომ უშლიდენ ხელს გამოფენის მოწყობას პარიზის აგენტები. ერთმა გამოჩენილმა ემიგრანტმა გულახდილად განაცხადა: „გამოფენის ირგვლივ ატეხილ განგაშში ემიგრაცია ულმობელად დავმარცხდით"-ო.

მესამე— ეს არის დასკვნა, რომელიც უნდა გავაკეთოთ და შით ვიხელმძღვანელოთ. ევროპიელები ეკითხებიან რა მდგომარეობაშია ჩვენში სიძველეთა შესწავლის საქმე და როგორია მუზეუმების მდგომარეობა. ხელოვნების ისტორიის და არქეოლოგიის ინსტიტუტები, რომლებიც გერმანელებს ყოველ დიდ ცენტრებში აქვთ, ჩვენ უფრო მნიშვნელოვან სიძველეთა პატრონთ არა გვაქვს და უნდა შევქმნათ. ხვალ-ზეგ უცხოელები კარს მოგვადგებიან—ჩვენ საამისო წერილობითი საბუთები გვაქვს ამერიკიდან, ინგლისიდან და სხვ., რომელსაც „კომუნისტის" რედაქციას დაბრუნების უმალ წარუდგენთ—და ჩვენი ხელოვნების ისტორიის და არქეოლოგიის ინსტიტუტებში მუშაობის ნებართვას მოგვთხოვენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი ძეგლების პატრონს ეს ინსტიტუტები აქვს. ეს უნდა ვაკეთოთ და გავაკეთოთ დაუყოვნებლივ. ეს ერთი. მეორე—უცხოეთში და კერძოთ გერმანიაში მუზეუმების დეცენტრალიზაციაა გატარებული. ცენტრალიზაცია ქმნილი მხოლოდ შემოტანილი მაგ. ანტიური ძეგლები. სხვა კი იმავე ადგილზეა, სადაც ის ისტორიულად ყოფილა. ჩვენ უნდა შევქმნათ ადგილობრივი მუზეუმები. მოსალოდნელ უცხოეთის ტურიზმთან დაკავშირებით. ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. „მუზეუმო-ისტორიულ-არქეოლოგიურ საქმის დეცენტრალიზაცია—ასეთია მეორე დასკვნა.

გამოფენის მეოხებით საბჭოთა საქართველომ ევროპის საზოგადოებრიობის წინაშე გაიმარჯვა კულტურულად, გაიმარჯვა პოლიტიკურად, უნდა გაიმარჯვოს მეცნიერულადაც.

პროფ. შალვა ნუცუბიძე

წერილი ინგლისიდან

საიმპერიო კონფერენცია საფრთხეს უქადის ბრიტანეთის იმპერიას

როცა ამ ერთი კვირის წინათ საიმპერიო კონფერენცია გაიხსნა, ტომასმა, მაკდონალდმა და დომინიონების პირველმა მინისტრებმა თავისი ულრმესი ლოიალობა გამოსთქვეს ბრიტანეთის იმპერიის მიმართ. „ეს მოძმე ერების კრებაა, ამბობდა მაღალფარდოვანათ დომინიონების მინისტრი ტომასი, —ამ კრების ერთად ერთი სურვილია განამტკიცოს მეგობრული კავშირი, რომელიც ჩვენ გვაერთებს, მისი ერთად-ერთი მიზანია ურთიერთ დახმარების საფუძველი შეგვიქმნას იმ მძიმე მდგომარეობაში, რომელსაც მსოფლიო განიცდის".

მაგრამ ეს სიტყვები და ეს ძმობის მანიფესტაცია ჩქარა გაქრა ინტერესთა პირველ შეტაკებისთანავე. იმპერიის კონფერენციას ის კრიზისის დღეები დაუდგა, რომელსაც ჩვენ ვწინასწარმეტყველებდით, და იმის მაგივრად, რომ იგი ბრიტანეთის იმპერიის განმტკიცებას ემსახურებოდეს, დაშლას უქადის მას. ეს შთაბეჭდილება, რომელიც კონფერენციის კულუარებში მივიღეთ, როდია გადაჭარბებული.

მართლაც ეს ადამიანები, რომელნიც დომინიონების სამინისტროში შეკრებილან, არც ძმები არიან და არც მეგობრები. ესენი ფხიზელი საქმის ხალხია, მათ უწინარეს ყოვლისა მხედველობაში აქვთ თავიანთი ქვეყნების კაპიტალისტთა ინტერესები, ისინი ამ კაპიტალისტების აგენტებს წარმოადგენენ. ეს ამბავი ცივათ და გულგრილათ აღიარა კანადის პრემიერ მინისტრმა ბენნეტმა:—კოლონიები და დომინიონებიო,—სთქვა მან,— ამიერიდან აღარ დასჯერდებიან თავიანთი ნედლი მასალა აგზავნონ ინგლისში, რათა შემდეგ დამუშავებული პროდუქტების სახით მიიღონო. ამ რიგათ საქმის ვითარება სრულიად გარკვეულია. დომინიონების ახალგაზრდა კაპიტალიზმი აღმართულია მეტროპოლიის ბებერი კაპიტალიზმის წინააღმდეგ. იგი ინტერესს არ იჩენს მისი გაჭირვებისადმი, პირიქით, ხცდილობს ეს გაჭირვებული მდგომარეობა გამოიყენოს ახალი უფლებისა და ახალი უპირატესობის მისაღებათ.

ლეიბორისტული მთავრობის თვალთმაქც წევრებს სურდათ ხელახლა მსჯელობა გაემართათ დამოუკიდებლობის და გამოთიშვის უფლების შესახებ. ეს უფლება იმპერიის მთავრობამ დომინიონებს ძალაუნებურათ მიანიჭა 1926 წელს, უკანასკნელი საიმპერიო კონფერენციის დროს, ამით უნდოდათ ნიადაგი შექმნათ [illegible], მაგრამ ეს საკითხი დომინიონებს გადაჭრილათ მიაჩნიათ, იგი აღარ სდგას დღის წესრიგში. სამხრეთ აფრიკის პრემიერ-მინისტრმა ჰერცოგმა ლონდონში მოსვლისთანავე მკაფიოთ განაცხადა, რომ დომინიონებს გამოთიშვის უფლება აქვთ და ამ უფლებას ვერავინ დაათმობინებსო. დომინიონები მთხოვნელების როლში კი არა, მოკარნახეების როლში გამოცხადდნენ ინგლისის კაპიტალიზმის წინაშე და უეჭველია, რომ ისინი იმპერიას გამოუყოფიან, როგორც კი მოისურვებენ, და მართლაც ის განცხადება, რომელიც ბენნეტმა ინგლისის მთავრობას წარუდგინა კანადისა და სხვა დომინიონების სახელით, ნამდვილ ულტიმატუმს წარმოადგენს.

როგორია მოკლეთ იმ სიტყვის დედაზრი, რომელიც ბენნეტმა წარმოსთქვა საიმპერიო კონფერენციის პლენუმზე?—თქვენ ყოველთვის იმპერიასა და იმპერიის მთლიანობაზე ლაპარაკობთ,—უთხრა მან ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებს;—სინამდვილეში ჩვენ, დომინიონები შევადგენთ იმპერიას. ჩვენც აქა ვართ, რას გვთავაზობთ თქვენ ამ მთლიანობის შესანარჩუნებლად? თქვენ გვიწვევთ, რათა ფეხზე წამოვაყენოთ ეს იმპერია, რომელიც დაქვეითების გზაზე სდგას. მაგრამ თქვენ არავითარი გეგმა, არავითარი პროექტი არ წარმოგიდგენიათ. ჩვენ კი მოგვწყინდა ინგლისის საწველი ფურის როლში ყოფნა. ჩვენც საშინელ კრიზისს განვიცდით, ეს კრიზისი უფრო გვაინტერესებს, ვიდრე თქვენი გაჭირვება, ჩვენ სიცოცხლის გაგრძობა გვინდა, რაც უნდა დაგვიჯდეს, თუნდ ამისთვის თქვენგან გათიშვა მოგვიხდეს. ჩვენ გეგმები გაინტერესებთ? ისინი შეიძლება ამ სიტყვებით გამოვთქვათ: დაგვეხმარეთ თავი დავაღწიოთ ჩვენს გაჭირვებას. შემდეგ ვნახავთ.

ასეთი ნაკლებ თავაზიანი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ დომინიონების პრემიერ-მინისტრებმა თავიანთი გეგმა წარმოადგინეს ბენნეტის შემწეობით: დაე, ინგლისმა საბაჟო ზღუდე აღმართოს უცხოეთის წინააღმდეგ, რათა ხელი შეუწყოს დომინიონების წარმოებას,—ასწიეთ ბაჟები ათი პროცენტით და ამ გზით ხელი შეუწყვეთ ჩვენს ახალგაზრდა მრეწველობას,—სთქვა ბენნეტმა:—ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ სამაგიეროთ ბაჟიდან გავანთავისუფლებთ ინგლისიდან შემოტანილ საქონელსთქო. ზედმეტია ლაპარაკი თავისუფალი ვაჭრობის დამყარებაზე იმპერიის ფარგლებში, როგორც ზოგიერთს სურს. მაგრამ თუ თქვენ გინდათ, რომ კვლავ ინგლისში ვიყიდოთ ინდუსტრიული პროდუქტები, რომელიც ჩვენ გვაკლია, საჭიროა, რომ ხელი შეუწყოთ ინგლისში დომინიონების პროდუქტების, კერძოთ სურსათის შეტანას.

ერთი სიტყვით დომინიონები მოითხოვენ—დაბეგრილი იქნას ინგლისელი მუშის მოსახმარი საგნები, რათა დომინიონებმა თავი დააღწიონ ეკონომიურ კრიზისს. გაუგებარია მხოლოდ როგორ გაუწევს ინგლისის მრეწველობა დომინიონების ბაზარზე კონკურენციას სხვა ქვეყნების მრეწველობას, თუ მუშა ხელი და მაშასადამე სამრეწველო პროდუქტების თვითღირებულება ინგლისში გაძვირდება სანოვაგის ზედმეტად დაბეგვრის წყალობით.

მაგრამ დომინიონებს როდი აწუხებთ ასეთი მოსაზრებანი, ჯერ თავი და თავიო, გაიძახიან ისინი. განა ბენნეტის შემდეგი ლოზუნგით არ აირჩიეს: „კანადა უწინარეს ყოვლისა"!

ტომასი და მაკდონალდი განადგურებული დარჩნენ.

კონფერენციისთვის მეტათ ძნელია, თითქმის შეუძლებელია რაიმე შეთანხმების მიღწევა, იგი პირდაპირ გაკოტრებისკენ მიდის. რასაკვირველია, ამ გაკოტრების მისაჩქმალავად საკომპრომისო ფორმულას გამონახავენ მეორე ხარისხოვანი საკითხებისთვის. ამის დამოუხედავათ მდგომარეობა მაინც მეტისმეტათ მწვავე დარჩება როგორც ინგლისისა, ისე მთელი ბრიტანეთის იმპერიისთვის.

ჯ. დავიდ.

ლონდონი, 17 ოქტომბერი.

მთელი ძალები ხე-ტყის დამზადებას

ხე-ტყის დამზადების გეგმა ოქტომბერში ჩაიშალა.—გეგმა შესრულებულია მხოლოდ 10 პროც.

ნედლი მასალის უქონლობის გამო ფერხდება სახერხი ქარხნების მუშაობა

ხე-ტყის დამზადება ფოთის რაიონში

ფოთის რაიონი, რომელიც აერთიანებს ლანჩხუთის ზემო-ჭალადიდის, ჭალადიდ-ხორგის, ყულევის და ხეთის დამამზადებელ უბნებს, ერთ-ერთი თვალსაჩინო რაიონია მთელს ამიერ-კავკასიაში თავისი მდიდარი და დამზადების სასურველი პირობების მქონე ტყეებით. აქ ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს საექსპორტო ხე-ტყის დასამზადებლად. გარდა აღნიშნული დამამზადებელი უბნებისა, ფოთის რაიონი აერთიანებს სამ ხე-ტყის სახერხ ქარხანას.

გურიის უბანში საზაფხულო ხე-ტყის დამზადება არ სწარმოებს, რაც უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ტყე-კაფა არ იყო თავის დროზე გადმოცემული. ამის შესახებ არა ერთხელ იქნა აღძრული შუამდგომლობა ფოთის „ლესპრომხოზის" მიერ, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. გარდა ამისა ტყეში დამზადებული იყო 12.000 კ. მეტრი შეშა, რომელიც უნდა ჩამოზიდულიყო ფოთში. (გურიის უბანში დამზადებული ხე-ტყის ჩამოზიდვა სწარმოებს მდინარე ფიჩორით, პალიასტომით და კაპარჭინეთი). ამჟამად — 14.000 კ. მ. შეშა ტყიდან უკვე გამოზიდულია მდ. ფიჩორის მაგისტრალზე. მენავეთა არტელმა 4 თვის განმავლობაში უნდა ჩამოზიდოს ეს შეშა ფოთში. მაგრამ მენავეები გულგრილობას იჩენენ ამ საქმისადმი, რაც ნაწილობრივ კავშირის უყურადღებობას უნდა მიეწეროს.

ზემო - ჭალადიდის დამამზადებელი უბანი

ზემო-ჭალადიდში, 1-ლ ოქტომბრამდე გეგმით უნდა დამზადებულიყო 140.000 კუბ. ფუტი სამასალე მორები, დამზადებულია— 190.000 კ. ფ. ე. ი. 50,000 კუბ. ფუტით მეტი. შეშა უნდა დამზადებულიყო ფრანკო, 40.000 კ. მ. რაოდენობით, მაგრამ საჭირო ტყე-კაფების გადმოუცემლობით, შეშა მთლიანად ვერ დამზადდა. ტყის გადმოცემას აჭიანურებს სენაკის სატყეო და ხელს უშლის ხე-ტყის დამზადებას. უბანში გეგმის მიხედვით დამზადებული იქნა 30.000 ცალი მაგარი და რბილი ჯიშის ტყიბულის მაღაროების ბიჯგები. გეგმის გარეშე დამზადებულია კიდევ 12.000 ცალი საექსპორტო ტრავეზი.

ზემო-ჭალადიდში ამჟამად დამზადებაზე მუშაობს 25 უღელი კამეჩი, 30 ცხენი და 120 მუშა ხელი, რომლებსაც დამზადებული ხე-ტყე გამოაქვთ მდ. რიონის პირას და შემდეგ სახელმწიფო გემთასვლის რიონის სააგენტოს საშუალებით, ჩამოაქვთ ფოთში. ძალიან ცუდად არის დაყენებული კოოპერაციის მიერ მუშების მომარაგების საქმე, რასაც ეხლავე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ჭალადიდ-ხორგის დამამზადებელი უბანი

ჭალადიდ-ხორგაში 1929-30 წელში უნდა დამზადებულიყო 30.000 კ. მ. შეშა. შეშის ეს რაოდენობა სრულიად დამზადდა და ჩაბარდა სათანადო ორგანოს. გარდა ამისა ჭალადიდ-ხორგის უბანში გეგმით უნდა დამზადებულიყო 3.600 კ-მეტრი მორი, რაც მთლიანად შესრულებული იქნა ჯერ კიდევ ივნისში.

ამჟამად სწარმოებს ახალი გეგმით გათვალისწინებული 20.000 კ-მეტრი მორის დამზადება. აქედან 1.500 კუბ. მეტ. უკვე დამზადებულია და სწარმოებს მისი სახერხ ქარხნებზე მიწოდება. ჭალადიდ-ხორგის უბანში მე-5-ე კვარტალში უნდა დამზადდეს 15.000 კ-მეტრი შეშა, აქედან ოქტომბერში დამზადებულია 850 კ-მ. დანარჩენი შეშის დამზადება საჭირო მუშა-ხელის უქონლობის გამო დროებით შეჩერებულია, დამზადებას საგრძნობლად ხელს უშლის ტყე-კაფების გადმოუცემლობაც; შეშის მოცემული რაოდენობა დამზადებული იქნება მე-5-ე კვარტალში თუ სენაკის სატყეო, თანახმად ზემდგომ ორგანოების დადგენილებისა, ეხლავე გადმოსცემს დამამზადებელ უბანს „ზანწყაროთი"-ს და „ოჯუმილე"-ს აგარაკებს.

1931 წელში ამავე უბანში დამზადებული იქნება 60.000 კ.-მ. მაგარი და რბილი ჯიშის შეშა. ამჟამად ამ სამუშაოებზე ჩაბმულია 60 მუშა, 50 უღელი კამეჩი, 5 ცხენი და 20 ვაგონეტკა.

ხეთის დამამზადებელი უბანი

ხეთის დამამზადებელი უბანი, ერთად ერთი ძლიერ უბნად ითვლება მთელს საქართველოში. ამიტომაა, რომ მთელი რიგი სასწრაფო და საექსპორტო მასალის დამზადების დავალებებს ხეთა ასრულებს. „ლესპრომხოზის" მთავარი ყურადღება ამ უბანზე არის მიქცეული. აქ მიდის დიდი აღმშენებლობანი.

გასულ წელს გეგმით ხეთის უბანში უნდა დამზადებულიყო 60.000 კ.-მ. შეშა — 1.000.000 კ.-ფუტი სამასალე მორი, 40.000 ცალი ტყიბულის მაღაროების ბიჯგები და 35.000 ცალი საექსპორტო ტრავეზი. გეგმით გათვალისწინებული ტრავეზების და ბიჯგების დამზადება შესრულებულია გადაჭარბებით, ხოლო შეშის კი 9 პროც. ოქტომბერ-დეკემბერში ხეთის უბანში დამზადებულ უნდა იქნეს—35.000 კ.-მ. შეშა, 10.700 კ. მეტრი მორი, 45.000 გრძივი მეტრი მაღაროს ბიჯგები და სხვ.

ამჟამად მუშაობა დამზადება-გამოზიდვის ასრივ, როგორც საერთოდ ფოთის რაიონის ყველა უბნებში, ისე ხეთის უბანშიაც სუსტად მიმდინარეობს საჭირო მუშა-ხელის უქონლობის გამო.

ხეთის უბანში მუშაობს მხოლოდ მუდმივი ტრანსპორტი, რაც შეადგენს 25 უღელ კამეჩს, 160 მუშა ხელს და სხვ.

1931 წელში ამავე უბანში გეგმით დამზადებული იქნება 29.000 კ.-მ. მორები, 70.000 კ. მ. შეშა და 90.000 მეტრი ტყიბულის მაღაროების ბიჯგები და სხვ.

ხე-ტყის სახერხი ქარხნები

1929-30 საოპერაციო წლის განმავლობაში ფოთის სახერხ ქარხანას უნდა გამოემუშავებინა 6.000 კ. მეტ. ხე-ტყის მასალა. ფაქტიურად გამომუშავებული იქნა 6.842 კ. მ. ანუ 3,7 პროცენტით მეტი. მიმდინარე კვარტალში გეგმით გამომუშავებული იქნება 2.670 კ. მ. მასალა, რაც გასული წლის უკანასკნელ კვარტალთან შედარებით გაიზრდება 58 პროცენტით. გასული საოპერაციო წლის განმავლობაში უნდა დახარჯულიყო 12.500 კაც-დღე, ფაქტიურად დაიხარჯა 11.428 კაც-დღე ანუ 8,6 პროცენტით ნაკლები. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 14,7 პროცენტით. არა საპატიო მიზეზით გაცდენილი კაც-დღე გასულ წელთან შედარებით შემცირებულია 77,2 პროცენტით. მიმდინარე კვარტალში გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების 41,2 პროცენტით გაზრდა.

ყულევის ქარხანას გასულ წელს უნდა გამოემუშავებინა 7.000 კ-მ. ხე-ტყის მასალა. ფაქტიურად გამოიმუშავა 6.729, ე. ი. გეგმაზე 3,9 პროცენტით ნაკლები, ამის მიზეზი არის ქარხნის აგვისტოს და სექტემბრის თვეებში გაჩერება.

მიმდინარე კვარტალში ყულევის ქარხანა გეგმით დაამზადებს 2.304 კ.-მ. მასალას, რაც წარსულ კვარტალთან შედარებით უდრის 86,1 პროცენტით ზრდას. შრომის ნაყოფიერება ამავე კვარტალში გაიზრდება 25 პროცენტით.

შუა-ხორგის ქარხანას უნდა გამოემუშავებინა 3.000 კ. მ. მასალა, ფაქტიურად გამოიმუშავა 1.689 კ. მ., ე. ი. 43,7 პროცენტით ნაკლები, რაც აიხსნება ქარხნის კაპიტალური შეკეთებისა გამო მისი სამი თვით გაჩერებით.

მიმდინარე კვარტალში შუა-ხორგის ქარხანა დაამზადებს 2.670 კ. მ. მასალას. შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 29,2 პროცენტით, რაც უდრის გ.-წ. შედარებით 265,2 პროც. ზრდას.

ახალი აღმშენებლობანი

ხე-ტყის მასალის დამზადებასთან დაკავშირებით, ფოთის რაიონში სწარმოებს მთელი რიგი აღმშენებლობანი. ხეთის აგარაკის 9 კ-მეტრიანი ვიწ. ლიანდაგიანი რკ. გზა გაყვანილ იქნა 12 ვერსამდე. დამთავრდა შუახორგიდან 7 კ.-მ. მანძილზე რკ. გზის გაყვანა. ხეთის აგარაკიდან ყულევის მიმართულებით 5 კ.-მ. მანძილზე შენდება რკ. გზა. განსაზღვრულია ახლო მომავალში შუახორგიდან სად. ჭალადიდამდე ვიწრო-ლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანა. დამთავრდა ზემო-ჭალადიდში ცხენსასვლელი და ვიწრო ლიანდაგის გაყვანა 12 კ-მ. მანძილზე, დამთავრდა და ექსპლოატაციაშია შუა-ხორგის ქარხანასთან მდინარე ხობ-წყლის ხიდი. შუახორგის ძველი ქარხანა სრულიად გადაკეთებულია, დაიდგა 50 ძალიანი ლოკომობილი. ორთქლმავლისათვის აგებული იქნა ხის ახალი დეპო. შენდება და ახლო მომავალში დამთავრდება ხორგის ქარხანაში მუშების საცხოვრებელი ბინა თავისი ამბულატორიით. დამთავრდა ხეთის აგარაკში 1.500 მუშებისათვის სასადილო შენობა, დამთავრდა ხეთაში ჯიხადურის ჩიხში—ორი ორთქლმავლისათვის ხის დეპოს აგება. აქვე დაწყებულია და ახლო მომავალში დამთავრდება სამ ადგილას მუშებისათვის ბარაკები, შუახორგაში და ხეთის უბანში მუშა-მოსამსახურეებისათვის გახსნილი იქნა კოოპერატიული სასადილო და დახურული დუქნები.

ქალაქის აგარაკი—1.000 ჰექტარი ტყეკაფით, რომელიც თავის მდებარეობით ამყოფება ფოთის ახლოს, გადაცემულია არის ქარხნების ამოსაშრობ სამმართველოზე გასაშენდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ აგარაკის ფოთის სატყეო მეურნეობაზე საექსპლოატაციოდ გადმოცემა, მიზან-შეწონილია, „ლესპრომხოზი" აქ დაამზადებს ფოთის სახერხ ქარხნის 2—3 წლის მარაგს და აგრეთვე 200.000 კ.-მ. შეშას; რომლის თვითღირებულება, შედარებით სხვა ტყეებისა, გაცილებით ნაკლები იქნება. ამის შესახებ ფოთის სატყეო მეურნეობამ შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე, მაგრამ ჯერ პასუხი არ არის.

ხე-ტყის დამზადების საქმეში მნიშვნელოვან შეფერხებას იწვევს აგრეთვე საჭირო მუშახელის და გადასაზიდი საშუალებების ნაკლებობა. უნდა მიექცეს საჭირო ყურადღება მუშების სურსათ-სანოვაგით და საექიმო დახმარებით უზრუნველყოფას. საჭიროა აგრეთვე მუშათა შორის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გაძლიერება და სოციშეჯიბრის ფართოდ გაშლა. ადგილობრივმა პროფ-კავშირებმა ეხლავე უნდა იზრუნონ ამ საკითხის თავის სიმაღლეზე დასაყენებლად, დაუშვებელია ისეთი გულგრილობა, რომელსაც აქამდე აქვს ადგილი.

გ. ულენტი.

ოქტომბრის გეგმა ჩაიშალა

განსაკუთრებული კვარტალის განმავლობაში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი), ამიერ-კავკასიის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის ტრესტის გეგმით ა.-კავკ. სატყეო რაიონებში უნდა დამზადდეს 570.000 კუბ. მეტრი საამშენებლო ხე-ტყის მასალა და 352.000 კუბ. მეტრი შეშა.

ამ რაოდენობიდან მარტო ოქტომბრის განმავლობაში უნდა დამზადებულიყო 225.000 კუბ. მეტრი ხე-ტყე და 92.000 კუბ. მეტრი შეშა. დამამზადებელი რაიონების ტყეებიდან ამავე კვარტალის განმავლობაში უნდა იქნეს გამოზიდული 200.000 კუბ. მეტრი ხე-ტყე და 150.000 კუბ. მეტრი შეშა.

ოქტომბერი უკვე თავდება და ა.-კ. ტყის მრეწველობის ტრესტში მიღებული ცნობები სრულიად უნუგეშო სურათს იძლევიან. ოქტომბრის განვლილი ორი კვარტალის განმავლობაში მთლიანად ჩვენმა სატყეო მეურნეობამ თვიური საწარმოო გეგმა 10 პროცენტითაც ვერ შეასრულა. გეგმის დანარჩენი 90 პროცენტი კი შეუსრულებელია.

ამგვარად, ხე-ტყის დამზადების გეგმა, შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივათ უკვე ჩაშლილია. ფაქტია, რომ ოქტომბრის საწარმოო გეგმა არ იქნება მთლიანად შესრულებული და საჭირო გახდება დანარჩენი ორი თვის განმავლობაში (ნოემბერი, დეკემბერი), ოქტომბრის ჩამორჩენილობა მთლიანად იქნეს დაფარული.

ხე-ტყის დამზადების გეგმის ჩაშლის მიზეზად, კვლავ „ობიექტიურ" დაბრკოლებებს ასახელებენ:

— არ გვქონდა ფული, ვერსად ვიშოვეთ მუშა-ხელიო და სხ.

მუშა-ხელის ნაკლებობა, მართალია არის, მაგრამ თუ ამ მხრივ გადამწყვეტი ღონისძიებები იქნება მიღებული, მუშა-ხელიც გამოჩნდება.

ხე-ტყის დამამზადებელ რაიონებში, მეტად ცუდადაა დაყენებული მუშათა მომარაგების საქმე. არაა მოწყობილი სასადილოები, კოოპერაცია ამ საქმეს ყურადღებას არ აქცევს და ისე კი მუშა-ხელის შოვნა მართლაც ძნელი საქმეა.

დ.

სახერხი ქარხნების მუშაობა ფერხდება

ნედლეულის უქონლობის გამო, კოდორის და ვაგრის სახერხმა ქარხნებმა, ეს მეორე კვირაა მუშაობა შესწყვიტეს. დიდი დაბრკოლებებით მუშაობენ აგრეთვე მდ. მტკვარის ხეობაში არსებული ქარხნები.

სახერხი ქარხნების მუშაობის შეფერხების მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ხე-ტყის დამამზადებელი რაიონებიდან ვერ გამოაქვთ იმდენი ხე-ტყე, რომ უზრუნველყონ აღნიშნული ქარხნები სათანადო რაოდენობის ნედლეულით.

ქარხნების მუშაობის შეფერხება ნიშნავს საამშენებლო სამუშაოთა შეფერხებასაც. სახერხი ქარხნები, ხშირად ვერ აძლევენ ხე-ტყის დახერხვასაც და ვერ აკმაყოფილებენ საამშენებლო ორგანიზაციების მოთხოვნილებას.

ხე-ტყის კამპანიის დამზადებაზე მომუშავე რწმუნებულებმა ამ გარემოებას უნდა მიაქციონ უდიდესი ყურადღება და პირველ რიგში ხე-ტყით უზრუნველყონ მახლობლად მდებარე სახერხი ქარხნები.

ახალციხის, ახალდაბის და მცხეთის სახერხი ქარხნებში სამუშაო დროის გაცდენამ უკანასკნელ ხანებში სისტემატიური ხასიათი მიიღო. სამუშაო დროის გაცდენა კი გამოწვეულია მხოლოდ ნედლეულის უქონლობით.

ამავე დროს ადგილებზე უკვე დამზადებულია დიდძალი რაოდენობის ხე-ტყე, რომელიც კიდევ არაა გამოტანილი. ადგილობრივი დამამზადებელი რაიონის ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ზომები, რომ ეს ხე-ტყე დაუყოვნებლივ იქნეს გამოტანილი და შით, პირველ რიგში დაიტვირთოს ახალციხის, ახალდაბის, მცხეთის და თბილისის სახერხი ქარხნები.

ლ.

პრაქტიკული ღონისძიებები ჩამორჩენილობის დასაფარავად

ხე-ტყის დამზადების გეგმაში ჩამორჩენილობის დასაფარავად მიღებულია პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები. საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში—ამხ. გ. ყურულაშვილმა განკარგულება გასცა, რომ აღნიშნული ღონისძიებების გატარებას დაუყოვნებლივ შეუდგნენ ყველა შესაფერისი ორგანიზაციები.

ამიერ-კავკ. ხე-ტყის მრეწველობის ტრესტს დაევალა სასწრაფოდ მიავლინოს თავის წარმომადგენლები ხე-ტყის დამამზადებელ რაიონებში და გამოარკვიოს რომელ რაიონში რა რაოდენობის ხე-ტყეა დამზადებული, რა რაოდენობის მუშა-ხელი იქნება საჭირო დამზადების საქმის გასაუმჯობესებლად და სხვ.

ამხ. გ. ყურულაშვილის განკარგულებით, ხე-ტყის დამამზადებელ ცალკე რაიონებში უკვე გაგზავნილი არიან განსაკუთრებული რწმუნებულები, რომელთაც დაევალებული აქვთ პირადათ უხელმძღვანელონ, როგორც ხე-ტყის დამზადების, ისე მისი ტყეებიდან გამოტანის საქმეს და პირადათვე უხელმძღვანელონ გეგმის შესრულებას მთელ რაიონში.

ხე-ტყის დამამზადებელი კამპანიის სახელმძღვანელოდ რაიონებში მივლინებული არიან: აფხაზეთში—ამხ. ანალიპა, აჭარისტანში—ამხ. ჯანიბახჩიევი, სამხრეთ-ოსეთში—ამხ. კაპანაძე, ზუგდიდის (ანუ სვანეთის) დამამზადებელ რაიონში—ამხ. ფოდოროვი, ახალციხის რაიონში—ამხ. ხერებრიაკოვი, კახეთში და აზერბეიჯანში—ამხ. ნ. ბრეგვაძე და სხ.

გარდა ამისა, ამიერ-კავკასიის სატყეო ინსტიტუტის უკანასკნელი კურსებიდან მობილიზაციის წესით გაწვეულია 100 სტუდენტი, რომლებიც გაგზავნილი იქნებიან დამამზადებელ რაიონებში.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანიზაციებს და სამომხმარებლო კოოპერაციას წინადადება აქვს მიცემული დაუყოვნებლივ შეუდგნენ შესაფერ მუშაობას ხე-ტყის დამზადებაში მომუშავეთა სურსათ-სანოვაგით და სამრეწველო საქონლით მომარაგების საქმის მოსაგვარებლად. ყველა იმ ადგილებში, სადაც თავმოყრილი იქნებიან დამზადებაზე მომუშავები—კოოპერაციამ უნდა გახსნას სასადილოები.

 თბილისი.—ჩარხი, რომელიც ჯერ კიდევ ხმარებაშია დიდუბის ბაღების მოსარწყავად

საქ. პროფსაბჭოს მე-11 პლენუმი

მრეწველობის 1931 წლის საკონტროლო ციფრები

პლენუმის მესამე სხდომაზე 1931 წლის სახალხო მეურნეობის გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. პ. საბაშვილმა. მომხსენებელი პირველ რიგში შეეხო განსაკუთრებულ კვარტალში აღებულ ტემპებს და იმ ღონისძიებებს, რომელნიც მიღებულია ოქტომბერ - დეკემბრის გეგმის წარმატებით შესასრულებლად.

შემდეგ მომხსენებელმა პლენუმს გაუცნო სახალხო მეურნეობის მიერ 1931 წლისათვის შემუშავებული გეგმა და საკონტროლო ციფრები.

ამ გეგმის მიხედვით, 1931 წელს სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციის გადიდება გათვალისწინებულია 84,4 პროცენტით, კერძოდ მარგანეცის მრეწველობაში კი 99,7 პროცენტით.

თვითღირებულება შემცირებული იქნება საშუალოდ 9,9 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდა ნავარაუდევია—57,6 პროცენტით.

აღებულ ტემპების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით საქართველოს მრეწველობაში მომავალ წელს მუშათა რიცხვი გადიდებული იქნება 102,2 პროც., ხოლო შრომის ხელფასი საშუალოდ—9,7 პროც.

პლენუმზე თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. გოდაბრელიძე, რომელიც უმთავრესად შეეხო სახ. მეურნეობის საკონტროლო ციფრების დეფექტებს.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. ჩოლმახიძემ, ხოფერიამ, მასხარაშვილმა, კალანდაძემ, ნარსიამ და სხვ., აღნიშნული იქნა წარმოებებსა და ტრესტებში ერთმმართველობის გაუტარებლობა, სამეურნეო მუშაკების მონაწილეობის მოუღებლობა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მომართვის დამუშავებაში, ახალმშენებლობის უგეგმოთ წარმოების შემთხვევები და სხვ. კამათი გაგრძელდა მეოთხე სხდომაზედაც, რის შემდეგ ამხ. ს. ეფრემიძემ გააკეთა მოხსენება—

შემოდგომის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მსვლელობის შესახებ

სეზონურ კამპანიების ნაცვლად — განაცხადა მომხსენებელმა, — ჩვენ გადავდივართ სასოფლო მეურნეობის მთლიან კამპანიის სისტემაზე, რაც შესაძლებლობას იძლევა წინდაწინვე გავითვალისწინოთ მთელი წლის მეურნეობის საჭიროებანი და უფრო ნაყოფიერად ვაწარმოოთ მუშაობა დასახულ ამოცანების გადასაწყვეტად.

ვინაიდან საკავშირო მასშტაბით ხორბლეულის კულტურის საკითხი უკვე სასურველადაა მოგვარებული, ამიტომ განზრახულია საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უმთავრესად ტექნიკურ კულტურების და მესაქონლეობის განვითარების საქმეს.

ამასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის შემოდგომის თესვის გეგმაში მარცვლეულ ნათესების სივრცის გადიდება გათვალისწინებულია მხოლოდ 3 პროც. სამაგიეროდ იზრდება ტექნიკურ კულტურების ფართობის გადიდება.

სას.-სამ. კამპანია პარტიისა და ხელისუფლების ყურადღების ცენტრშია მოქცეული, მაგრამ სამწუხაროდ ამ დარგში მიღწევებთან ერთად გვაქვს თვალსაჩინო დეფექტებიც, რაც უმთავრესად გამოწვეულია ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოების გულგრილობით.

ადგილობრივ ორგანოების სუსტი მუშაობის გამო სათესლე ფონდის შეგროვების გეგმა ამჟამად შესრულებულია მხოლოდ 32 პროც.,

რაც შეეხება შემოდგომის თესვას, აქაც მძიმე მდგომარეობაა ასეთია: 53 რაიონიდან თესვის მიმდინარეობის შესახებ ცნობები მიღებულია მხოლოდ 21 რაიონიდან, სადაც თესვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 30 პროცენტით, ხოლო მოხნულია დასათეს სივრცის 50 პროც. აღსანიშნავია, რომ თესვა სუსტად სწარმოებს ინდივიდუალურ მეურნეობებში.

აგრეთვე ყურადღება არ ექცევა სათესლე მასალის შეწამვლა - გაწმენდას. დღემდე მიღებული ცნობებით შეწამლულია თესლის მარტო 18 პროც., ხოლო გაწმენდილია და დახარისხებული—20 პროც.

სას.-სამეურნეო კოოპერაცია ვერ იჩენს საჭირო უნარს კონტრაქტაციის სათანადოთ ჩატარებისათვის. დღემდე კონტრაქტაციის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 69 პროც. კონტრაქტაცია განსაკუთრებით სუსტად სწარმოებს ბორჩალოს, სიღნაღის და თელავის რაიონებში.

საკვები ბალახები შემოდგომაზე უნდა დაითესოს 5,400 ჰექტარი, მაგრამ თესლის უქონლობის გამო, გეგმა შეიძლება სანახევროდაც ვერ იქნეს შესრულებული.

ამჟამად მთავარი ყურადღება აგრეთვე ექცევა მესაქონლეობის განვითარებას, მაგრამ მიღწევები აქაც უმნიშვნელოა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო პროფკავშირების ამოცანებს სას. მეურნეობის რეკონსტრუქციაში.

ამხ. ეფრემიძის მოხსენების ირგვლივ გაიშალა კამათი.

ექიმები გადადიან მუშაობის დამკვრელ ფორმებზე

პირველი საავადმყოფო მოწინავე რიგებში

(მედსანშრომის მუშაკთა სრ. საქართველოს ყრილობაზე).

გუშინ, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა მედსანშრომის მუშაკთა სრ. საქართველოს მე-8 ყრილობა. ყრილობა გახსნა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. გ. თვალჭრელიძემ, რომლის შესავალ სიტყვის შემდეგ ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო კომისია. აგრეთვე არჩეული იქნა საპატიო პრეზიდიუმი, საპატიო პრეზიდიუმში ამხ. სტალინის არჩევას ყრილობა მხურვალე ტაშით შეხვდა.

ყრილობამ მისალმება გაუგზავნა საქ. კომ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტს. მისალმებაში ნათქვამია, რომ საქ. მედმუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავათ, რათა წარმატებით იქნეს შესრულებული 5 წლედით დასახული ამოცანები.

მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა აგრეთვე მედსანშრომის მუშაკთა საკავშირო კომიტეტს.

შემდეგ 1-ლი საავადმყოფოს ექიმთა დავალებით ყრილობას მატკით წარუდგა პროფ. შ. მიქელაძე.

„ჩვენ ქალაქის 1-ლ საავადმყოფოს ექიმები,—განაცხადა მან,—სრული შეგნებით ვგრძნობთ იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც გვაკისრებს ამჟამად ქალაქად და სოფლად წარმოებული გიგანტური სოციალისტური მშენებლობა. ჩვენ გვრწამს, რომ მშრომელთა კლასი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შესძლებს 5 წლედის 4 წელში შესრულებას. ამ უდიდესი გამარჯვების მოპოვება დიდათაა დამოკიდებული მუშათა ჯანმრთელობაზე. ამიტომ ჩვენ, ექიმებს დიდი როლი გვეკისრება ჯანმრთელობის დაცვის ფრონტზე, ისე, როგორც ინჟინერ-ტექნიკოსებს წარმოებაში. მშრომელ მასებისათვის საექიმო დახმარების გაძლიერების მიზნით ჩვენ გადავწყვიტეთ მედიკო-სანიტარულ დაწესებულებებში შემოვიღოთ შრომის ახალი ფორმები—სოც-შეჯიბრება და დამკვრელობა. ჩვენ თავს ვაცხადებთ სრ. საქართვ. მედმუშაკთა მე-8 ყრილობის სახელობის დამკვრელებად. ამავე ყრილობის წინაშე ვიღებთ შემდეგ ვალდებულებებს:

1) 5 წლედის დამლევამდე მივემაგრებით დაწესებულებას, 2) მტკიცეთ გავატარებთ ჩვენ საქმიანობაში კლასიურ ხაზს, 3) ვეცდებით გავაფართოოთ საწოლთა ბრუნვა, 4) ვიბრძოლებთ შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად და შრომის ნაყოფიერების ასაწევად, 5) განკურნებულ ავადმყოფებში ვაწარმოებთ სანიტ-განათლების მუშაობას, 6) აქტიურად ჩავებმებით საზოგადოებრივ და პროფმუშაობაში და 7) დამხმარე პერსონალის შორის მოვახდენთ სანიტ-უცოდინარობის ლიკვიდაციას.

ამასთანავე ერთად ვითვალისწინებთ რა სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის დიდ მნიშვნელობას და კოლექტივიზაციის ზრდას, ღარიბ გლეხობისათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად ჩვენი წრიდან სოფლად სამუშაოდ ვგზავნით 10-15 ექიმს.

პროფ. შ. მიქელაძის განცხადებას ყრილობა ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

შემდეგ მედსანშრომის მუშაკთა საქ. კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ვერებეიჩიკოვმა.

თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა

დამამზადებული პროდუქცია საუკეთესო ღირსებისაა

1-ლი ოქტომბრიდან ამუშავდა თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის ერთ-ერთი ცეხი, სადაც დადგმულია ქალების ჩულქების საქსოვი მანქანების ერთი კომპლექტი. მომავალი სამეურნეო წლის მეორე კვარტალიდან ფაბრიკა მიიღებს ახალ მანქანებს, რომლებსაც ამზადებენ ლენინგრადის ქარხნები. სრულ სატრიკოტაჟო ფაბრიკაში დაიდგმება 50-ზე მეტი მანქანა. მათ შორის 10 მანქანა სპეციალურათ მამაკაცის წინდების საქსოვათ.

ამჟამად ფაბრიკა ყოველდღიურათ ამზადებს 100 წყვილ ქალის ჩულქებს. დეკემბრიდან ფაბრიკა ყოველდღიურათ დაამზადებს 150 წყვილს, ხოლო იანვრიდან 180 წყვილს. ფაბრიკაში დამზადებული აბრეშუმის ჩულქები თავისი გარეგნობით ბევრათ სჯობიან ლენინგრადის ფაბრიკის ასეთსავე ნაწარმოებს და გარეგნულად სრულიად მიაგავს საზღვარგარეთულ ნაწარმოებს.

ფაბრიკამ მოახდინა ცდები აგრეთვე ბამბის; ძაფისაგან ჩულქების დასამზადებლათ. ბამბის ძაფის ჩულქები გარეგნობით მიაგავან ფილდეკოსის ჩულქებს და სილამაზით აბრეშუმს არ ჩამორჩება.

ფაბრიკის ნაწარმოების ბაზარზე გასაღება დაიწყება დეკემბრიდან. ფაბრიკის მთელი პროდუქციიდან 20 პროცენტი გადაეცემა მუშკოოპს, ხოლო დანარჩენი 80 პროცენტი გაიყიდება აბრეშუმის ტრესტის სავაჭრო ქსელის საშუალებით. თითო წყვილი ჩულქის თვითღირებულება ვარაუდით არ გადააჭარბებს 5 მანეთს. ვაჭრობის მომწესრიგებელ ორგანოებში ამჟამად დასმულია საკითხი ქალის ჩულქებზე გასაყიდი ფასების დაწესების შესახებ.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერაში

სახელმწიფო ოპერა ამჟამად დასადგმელად ამზადებს პოტოცკის რევოლუციონურ ოპერა „გარღვევა"-ს. ოპერას დგამს მთავარი რეჟისორი ვ. ლოსკი, დირიჟორი —მელიქ-ფაშაევი, მხატვარი— თოიძე. მთავარ როლებში გამოდიან გორელოვი, ქუმსიაშვილი, კავსაძე, სუხოდოლსკი და ახალგაზრდა მომღერალი ქალი ლოლუა. „გარღვევა"-ს პირველი წარმოდგენა დანიშნულია 7 ნოემბრისათვის.

დაწყებულია მუშაობა ბალეტ „წითელი ყაყაჩო"-ს დასადგმელად ახალი ლიბრეტოთი; მხატვრად მოწვეულია არ. გამრეკელი. ბალეტს სდგამს ოპერის ბალეტმეისტერი ემონოვი.

რეჟ. ა. წუწუნავა ქართულ ენაზე ამზადებს ოპერა „კარმენს". ოპერის ტექსტი ნაწილობრივ გადაკეთებულია და დაახლოვებულია პ. მერიმეს მოთხრობის შინაარსთან. ეს წარმოდგენა უმთავრესად საინტერესო იქნება იმით, რომ მასში იმღერებს სამი დაწინაურებული ახალგაზრდა მომღერალი— ოგნივენკო, ცომაია და პრეისი (კარმენ). ოპერა ახალი დადგმით წავა დეკემბერში.

ქართულად დაიდგმება აგრეთვე უკრაინელი კომპოზიტორის ლისენკოს ოპერა „ტარას ბულბა". ამ ოპერას თბილისის სცენაზე დგამს უკრაინელი რეჟისორი პეტროცკი, რომელიც ამ დღეებში ჩამოვა ხარკოვიდან. ხარკოვიდან არის აგრეთვე მოწვეული მხატვარიც.

„ტარას ბულბა" თბილისში იდგმება უკრაინასთან კულტურული კავშირის განმტკიცების მიზნით, კულტურულ ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლის წესით; თბილისის თეატრი დგამს „ტარას ბულბა"-ს, სამაგიეროდ ხარკოვის თეატრი დასდგამს „აბესალომ და ეთერს". ამ ოპერის დასადგმელად ხარკოვში მიწვეულია რეჟ. ა. ფაღავა.

„ტარას ბულბა"-ს უკრაინულიდან სთარგმნის ქ. ფოცხვერაშვილი. ოპერა წავა სეზონის მეორე ნახევარში.

წელს განზრახულია აგრეთვე ოპერა „ამირანი"-ს დადგმა ახალი ლიბრეტოთი. ახალი ლიბრეტო შეკვეთილი აქვს პროლეტარულ პოეტ კარლო კალაძეს.

გასტროლები ოპერაში დაიწყება იანვრიდან. პირველად ჩამოვა ლენინგრადელი მომღერალი ქალი (მეცო-სოპრანო) პრეობრაჟენსკაია.

ოპერამ კულტშეფობა აიღო მთელ სახელოსნოებზე. გამოყოფილი იქნება მომღერალთა სპეციალური ბრიგადები, რომლებიც კონცერტებს გამართავენ სახელოსნოებში მუშების შესვენების დროს; მოეწყობა აგრეთვე დაკავშირების საღამოები, უფასო წარმოდგენები და სხვ.

ოპერის დირექციას გადაწყვეტილი აქვს ყოველ ათ დღეში თითო წარმოდგენა გამართოს რაიონებში, კერძოდ ლენინის უბანში.

თბილისის სატირის თეატრი ზამთრის სეზონის წინ

თბილისის სატირის თეატრი წელს გადავიდა წლიურ ბიუჯეტზე.

დასი უმთავრესად შეივსება ახალგაზრდა მსახიობებისაგან, რომელთა უმრავლესობა მუშათა კლუბებიდანაა გამოსული.

აგრეთვე დიდი ყურადღება ექცევა თეატრში კომკავშირელთა კადრის შექმნას. თეატრში 30 პროცენტი კომკავშირელია.

დასის შემადგენლობა ასეთია: გ. აბაშიძე, გ. აბულაძე, დ. კობახიძე, ვ. ვაშაძე, ა. კუპრაძე, ვ. ფხალაძე, გ. კავსაძე, გ. ყიფიანი, ს. რამიშვილი, აკ. ცინცაძე, რ. ფაჩულია, ქ. კოპლატაძე, ს. მეჭულიშვილი, ნ. გოგორიშვილი, ქ. რამიშვილი, ბ. ჩირაქლაშვილი, მ. გულაშვილი, მ. ყარალაშვილი, ნ. ჯანდიერი, და სხვ.

თეატრის ზამთრის სეზონისათვის რეპერტუარში შეტანილია შემდეგი პიესები: „წითელი ხრამი", „ხუთწლედი ოთხ წელში", „ქალი", „ათი წლის თავი", „ყვარყვარე თუთაბერი".

აგრეთვე თეატრი განაახლებს დასადგმელად წარსული სეზონის ორ პიესას „კიდევ თბილისი" და „ამბავი ცუდ ქარხანაზედ".

თეატრის მთავარ რეჟისორად მოწვეულია შ. მანაგაძე. თეატრთან ჩამოყალიბებულია სამხ. პოლიტიკური საბჭო.

პირველი წარმოდგენა დანიშნულია 1 ნოემბერს. წავა პიესა „წითელ ჯარში". დადგმა არ. ჩხარტიშვილის. თეატრის ხელმძღვანელობს გ. ბუზნიკაშვილი.

ქორჩ.

შემთხვევები

● **დაჯახება.** გუშინ, დილის 7 ნახევარ საათზე, ტრამვაის ვაგონი № 260 (მარშრუტი 11), რომელსაც მართავდა ვატმანი ლევან ერიქიანი, დაეჯახა მეეზოვე—მაკირტიჩ მარტიროსოვს, რომელიც იქვე გარდაიცვალა. ვატმანი დაპატიმრებულია.

● **ქურდობა.** გაქურდეს დღით დარისპანის ძე დონდუას ბინა (ჩიტაძის ქუჩა № 13), საიდანაც მოიპარეს 1500 მან. ნივთები.

● **დაპატიმრება.** ქურდობისათვის დააპატიმრეს შაქარ ამარის ძე ჩაღოევი (ბაქოს ქუჩა № 18); ხულიგნობისათვის შეიპყრეს მერგო მარაქოვი (ნოვამენის ქუჩა № 4).

● **ჯიბგირობა.** მარიამ გრიგორიანს სასახლის ქუჩაზე, ჯიბიდან ამოაცალეს 100 მან. წიგნის მაღაზიაში მარგალიტა მელიქაძეს ჯიბიდან ამოაცალეს 100 მან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, სრულ 12 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტ. კომიტეტის მასიური აგიტაციის განყოფილებაში მოწვეულია თათბირი ღვინის დამზადების საკითხის შესახებ.

თათბირს უნდა დაესწრონ: ამხ. ძაგანია (საქართველოს ვაჭრობის სახკომი), ლიცენოვი („პლოდოვინსოიუზ"), ანშილევიჩ (ცეკავშირი), ხუხუა (კოლმეურნეობათა ცენტრი), ქუხალეიშვილი (საბჭოთა მეურნეობების ცენტრი).

—:—

დღეს, 2 საათზე, საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის მასიური აგიტ. განყოფილებაში მოწვეულია თათბირი მებრეშუმეობისათვის აგრო-სამსახურის გაწევის შესახებ. თათბირს უნდა დაესწრონ: ამხ. მათიკაშვილი (მიწათმოქმედების კომისარი), მდივანი (საქართველოს აბრეშუმი), გვარამია (მემინდვრეობის კავშირი), ძაგანია (ვაჭრობის კომისარიატი), ბუაჩიძე (სახელმწ. სავეგმო კომისია) და საქ. მუშგლეხინის წარმომადგენელი (სას.-სამ. ჯგუფი).

—:—

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ვარნაზოვს (ბორჩალოს სამ. სატრ. სადგ. უფრ. გამგეს) გამოცხადდეს ორი დღის ვადაში ამხ. თაქთაქიშვილთან (ოთახი № 1).

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ. კულტპროპი წინადადებას აძლევს ამხ. დომენტი ცხაკაიას ორი კვირის განმავლობაში გამოცხადდეს ამხ. კოროლელაძესთან.

—:—

პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები რომლებიც წელს ჩაირიცხნენ სამართლის ინსტიტუტში, სასწრაფოდ უნდა გამოცხადდნენ ბიურო-კოლექტივში ამხ. სილაძესთან.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ლენრაიკომი იუწყება, რომ 31 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება საღამოს საბ. პარტსკოლის საორგანიზაციო თათბირი ამ სკოლების მდივნებთან ერთად.

—:—

— განათლების მუშაკთა სახლში 1-ლ ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, შესდგება განათლების მუშაკთა პარტუჯრედის სხდომა. ყველა წევრისა და კანდიდატის დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ.პ. (ბ) „26" კომუნართა სახ. რაიკომი იუწყება, რომ 13 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე (ამხ. სილაძის კაბინეტში, კარების ქ. № 1) მოწვეულია მუშათა მომარაგებისა და სადუქნო კოოპერატიული კომისიის გადარჩევასთან დაკავშირებით გამოყოფილი მუშათა ბრიგადების ყველა ხელმძღვანელებთან თათბირი. და მოიტანონ მასალები.

ყველა ზემოაღნიშნული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ დაუყოვნებლივ და თან უნდა მოიტანონ მასალები.

—:—

დღეს, 2 საათზე საქართველოს კომპ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპის სექტორში ამხ. მახარაძესთან მოწვეულია თათბირი ანტირელიგიური უნივერსიტეტის დაარსების საკითხის შესახებ. თათბირზე მოწვეული არიან: საქალაქო რაიონის კულტპროპი—ამხ. პატარია, ლენრაიკომის კულტპროპი—ამხ. ბახტაძე, „26" რაიონის კულტპროპი—მაილიანი, ლ.ა.კ.კ-ის ც. კ-ი—ამხ. მახარაძე და უღმერთოთა კავშირის ც.ბ.—ამხ. ბოკერია და თბილისის განათლების განყოფილება—პოლოსოვი და საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგე.

საქ. კომპარტიის ლენრაიკომი აცნობებს ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებიც გამოყოფილი არიან საღამოს საბ. პარტსკოლის ხელმძღვანელებად გამოცხადდნენ რაიკომში 13 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე საორგანიზაციო თათბირზე: ამიერ-კავკ. უნივერსიტეტიდან: არუთინოვი გურგენი, მცილიანი სარო, ბაღათურია კალისტრატე, კუხალეიშვილი გიორგი, ლეკაშვილი სევერ, მაცაბერიძე ალექსანდრე; ზემსკი პავლე, კორიშტაინი ევგენი, პარტოს ქეთევანი, სევასტოვი ვასილი, ქორისანიძე („კომუნისტი"), კასუმოვი (ლლ. ტექნიკუმი), აბაშიძე (32 სკოლა), ორაგველიძე (პედ. ტეხნ.), ხურციძე (სკოლა საპრ.), ჩერქეზიშვილი (5 სკოლა), სულაქველიძე ანეტა (8-ე სკოლა), დოლიძე (ჭყინის გზ. სამმართველო).

—:—

1 ნოემბერს საღამოს 5 საათზე პედ. ინსტიტუტში მოწვეულია აჭარისტანის სტიპენდიანტთა საერთო კრება (შესამე სართ. ქიმ. აუდიტ.) ამავე დღეს, დილის 9 საათზე მოწვეულია სტიპენდიანტთა კომფრაქციის სხდომა.

კომუნა საქაურას ხეობაში*)

როგორია კომუნა ცხოვრებაში

როგორია კომუნა სინამდვილეში, როგორ გამოსჭედა და ჩამოაქანდაკა ის ცხოვრებამ? ეს კითხვა იპყრობდა ჩემს გულისყურს ხიდეშლებში მისვლის პირველ წუთიდანვე და ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოკლე ექსკურსია უნდა გავაკეთოთ ხიდეშლების წარსულში. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ბევრისათვის (და ამ ბევრთა შორის, უნდა გამოვტყდე, მეც ვიყავი), ხიდეშლების კომუნა ერთგვარ იჭვებს ბადებს. რატომ არის კომუნის ყველა წევრი ერთი გვარის, ხომ არა აქვს აქ ადგილი რაიმე პატრიარქალურ ყოფა-ცხოვრების გავლენას, რაც ასე ძლიერია ზემო-რაჭის სოფლებში, ხომ არ არის მონათლული კომუნის სახელით ძველი უხუცესობის პრინციპზე აგებული კონსერვატიული ოჯახი? საკითხის ეს მხარე უთუოდ განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია.

რას გვეუბნება სინამდვილე? ხიდეშლების უბანი 140 წელიწადია რაც არსებობს. მათი წინაპარი ერთი თუ ორი ოჯახი გადმოსახლებულა აქ ულრან ტყეებში სოფელ ხიდეშაქედიდან. 48 წლის წინად ხიდეშლები შეადგენდნენ ერთ ოჯახს, რიცხვით 70 სულს, ჰქონდათ 7 სახლი, 7 კალო, 7 საბძელი, 7 ბეღელი და ასე სხვა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს უზარმაზარი ოჯახი ერთ ნაჭუჭში ვერ მოთავსდა და გაიყო. უფროსმა ძმამ დაანთო შვიდ ადგილას ცეცხლი და ვეებერთელა ჯალაბი დაჰყო შვიდ ნაწილად.

მას შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, 48 წელმა განვლო. ამ ხნის მანძილზე 8 ოჯახი 55 ოჯახათ გადაიქცა. დღეს ხიდეშლებში 500 სული ცხოვრობს. თვითეული კომლი, კომუნას მოწყობამდე, სრულიად დამოუკიდებელ ტიპიურ ინდივიდუალურ მეურნეობას წარმოადგენდა. კლასთა ბრძოლა იყო ერთ „ბაბუის" შვილებს შორისაც. გაჩნდნენ მდიდრები და ღარიბები. კომუნის დაარსების დროს ამ ბრძოლამ ბუნებრივად მეტი სიმწვავით იჩინა თავი. კომუნის გარეთ მოჰყვა ვაჭარი, მუდამ სხვისი ნაოფლარით მცხოვრები ვარდენ ხიდეშელი. კომუნაში შესვლა არ ისურვა სამ მეურნემ—აგრეთვე გვარად ხიდეშლებმა. ამრიგად გაერთიანდა 51 კომლი.

არჩეულ იქნა გამგეობა არა მოხუცებულობისა უმცროს-უფროსობის პრინციპით, როგორც ეს ხდება პატრიარქალურ ოჯახში, —არა, გამგეობის სათავეში ჩაყენებულ იქნენ შუახნის კაცები, გამოცდილი მეურნეები, რევოლუციონურ ბრძოლის ძველი მონაწილენი. პატრიარქალურ ავტორიტარიზმზე ლაპარაკიც კი ზედმეტია ხიდეშლების კომუნაში. ეს იქნებოდა სრულიად დაუმსახურებელი ცილისწამება ამ მშვენიერი კომუნის მიმართ.

ხიდეშლები იმდენად შორს წავიდნენ მამაპაპურ დრომოჭმულ ცხოვრებისაგან, რომ ისინი მთელ რაჭაში ერთ-ერთ პირველ ურწმუნოებად ითვლებიან, ყველაზე უმალ აქ დახურა გლეხობამ ეკლესია, ყველაზე ადრე აქედან გამოაპანღურეს მღვდელი და ეკლესია კლუბათ გადააკეთეს.

საქმეს აბრკოლებდა გალავანი თავისი აკლდამებით. ამბობდენ: კლუბი — ეს ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ მოვდივართ აქ, ვმხიარულობთ, გამოვალთ და ჩვენ-ჩვენი მიცვალებულები გულს გვილონებენ, ქალების მოთქმა-გოდება საფლავებთან ცას სწვდება.

იმსჯელეს და გადასწყვიტეს საფლავების აყრა, გალავანში მდგომ ძველი, გადაბერებული ხეების მოჭრა და ამათ ნაცვლად კლუბის ბაღის გაშენება. ამ გადაწყვეტილებას მოხუცნი ერთგვარ უკმაყოფილებით შეხვდენ. მაშინ რამდენიმე უპარტიო გლეხმა პირველად ამოაძრო თავისი მიცვალებულთა საფლავიდან ქვის სამარები, გაასწორეს მიწა და ბაღი გააშენეს. როცა მოხუცებულებმა ეს დაინახეს მოეწონათ და თვითვე მოითხოვეს სასაფლაოს მთლიანად გადაკეთება ბაღათ. დღეს ხიდეშლების ყოფილ ეკლესიის გალავანში საფლავის ქვებს და თვით საფლავების კვალს ვეღარ ნახავთ. მიწა მოსწორებულია. წინანდელ აკლდამების ნაცვლად ბიბინებს კონიდარი და ვარდის ბუჩქები. კომუნამ სოფელს გარეთ გამოჰყო მიწის თავისუფალი ნაკვეთი, სადაც მიცვალებულებს ასაფლავებენ.

კომუნას განსაზოგადოებული აქვს მთელი სახნავ-სათესი მიწა, ინვენტარი, შინაური ოთხფეხი და ბაღ-ბოსტნები. გამგეობა აზრიანად დახვედრია საქმეს. განსაზოგადოება მათ არ მოუხდენიათ დოგმატიური ფორმალობით. გარდა იმისა, რომ კომუნას ჰყავს საერთო 213 ძროხა, თვითეულ გლეხს ოჯახის წევრთა რიცხვის მიხედვით დატოვებული ყავს პირადი ყოველდღიური საჭიროებისათვის ერთი ან ორი ძროხა, კომუნას თვითეულ წევრს დატოვებული აქვს აგრეთვე საკუთარი მცირე ბაღ-ბოსტანი.

სურსათ-სანოვაგე თავმოყრილია საერთო ფონდში, საიდანაც მას ანაწილებს გამგეობა. საჭმელ-სასმელი ყველას საკმაოზე მეტი ეძლევა. ტანისამოსი, ფეხსაცმელები, მრეწველობის წვრილმანი, მასიური მოთხოვნილების პროდუქციაც გამგეობას მოაქვს და შემდეგ ნაწილდება კომუნის წევრებზე. ტანისამოსს ღებულობენ შეუკერავს ან შეკერილს, ვისაც როგორ ურჩევნია. მიღებულ ფართალს ყველა თავის გემოზე იკერავს. კომუნას გახსნილი აქვს საკუთარი სამკერვალო, რომელშიაც მუშაობენ კომუნის წევრი გოგონები.

კომუნას ჰყავს 150 სული ხარი თავისი ურმებით, 25 ცხენი, 200 ღორი და 65 ხბო. წელს ხბოებს უბედურება შეემთხვათ. ავდრიან დღეს ხბოების ჯოგი მთაზე მოჰყვა. წამოვიდა მეწყერი და წვიმისაგან ერთ ადგილას თავშეფარებული 60 ხბო სრულიად დაიღუპა. თან კინაღამ მწყემსებიც დაიხოცნენ.

საერთოდ, ხიდეშლების საქონელს მრავალი მტერი ჰყავს. განსაკუთრებით ხშირი სტუმარია მგლები, რომლებიც ყოველ ღამე თავს დასტრიალებენ მინდვრათ გარეკილ ოთხფეხებს.

ის იყო საფუტკრიდან ვბრუნდებოდით, რომ შემოგვეჩეხა დაღონებული კომუნის წევრი: წინ მას ბორძიკ-ბორძიკით მოუძღოდა ყრუნია ფერის ბუღა. საბრალოს მარცხენა თვალი სიმსივნისაგან აღარ უჩნდა, მარცხენავე მხარეზე ყური ოდნავ გაკაწრული ჰქონდა, ცხვირ-პირში დუჟი მოსდიოდა. ბუღას დიდი ბრძოლა გადაეტანა მგელთან. ავადმყოფი მაშინვე ონს გაუგზავნა ექიმთან.

ასეთია ჩვენი საქმე, შემომჩივლა ვანო ხიდეშელმა, სტრიხნინა ვერ ვიშოვეთ, რომ ნადირი საწამლავით მოვიშოროთ, ხაფანგის დადება კი არ ხერხდება. ორჯერ-სამჯერ ვცადეთ და ნადირის მაგიერ ჩვენი საქონელი გაება შიგ.

მკვდარი ინვენტარიდან კომუნას აქვს 42 გუთანი, ერთი ტრიერი და ერთი სანიავო მანქანა; აღსანიშნავია, რომ გაერთიანების შემდეგ მრავალი გუთანი ზედმეტი შეიქნა და კომუნას ეხლა ისინი მარქაფათ აქვს შენახული.

ამასთანავე კომუნას აქვს საკარაქე ქარხანა, სამჭედლო, სამკერვალო და სახარაზო...

რაჭაში საზოგადოთ მეტად გავრცელებულია სამუშაოდ სხვაგან გასვლა. ხიდეშლებშიც ხშირია ასეთი შემთხვევა. გასულების ოჯახი ხშირად სოფელში რჩება. მას ესაჭიროება ჭამა-სმა, ბინა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, შეშა და სხვ. ყოველივე ამას კისრულობს კომუნა, სამაგიეროთ გარედ გასულს ეძლევა თავისი ჯამაგირის მიხედვით შემოიტანოს კომუნაში ყოველდღიური საწევრო გადასახადი, კლასიური პრინციპი აქაც მტკიცედ არის დაცული: ვინც ღებულობს თვეში 70 მანეთს, მან კომუნის სალაროში თავისი ოჯახის შესანახად უნდა გამოგზავნოს თვეში 30 მანეთი. ვისაც მეტი ხელფასი აქვს, მან ყოველ 10 მანეთზე, რასაც 70 მანეთს ზევით აიღებს, უნდა გაუგზავნოს კომუნას ერთი მანეთი.

არიან, ისეთებიც, რომელნიც წასულან სოფლიდან თავიანთ ცოლშვილით. ისინი ყოველთვიურად აძლევენ კომუნას 5 მანეთს, რისთვისაც ირიცხებიან კომუნის სრულუფლებიან წევრებათ. თუ დარჩა შემთხვევა, რომ ასეთი პირი უმუშევარი შეიქნა ან მას რაიმე უბედურება შეემთხვევა და სოფელში დაბრუნება შეეხედა, კომუნა მთელი ოჯახით ყოველმხრივ უზრუნველყოფს ასეთ წევრს.

ჯერ-ჯერობით პური თვითეულ ოჯახში ცალკე ცხვება, მაგრამ მალე საზოგადო ფურნის შენებაც დამთავრდება. საერთოდ ფურნეში გამომცხვარი პური ფქვილის დიდ ეკონომიას მისცემს კომუნას და ნამცხვარის ხარისხსაც მეტად გააუმჯობესებს. ასევე უნდა ითქვას სამზარეულოს შესახებ. ჯერ-ჯერობით საერთო სამზარეულო მოწყობილია მხოლოდ კომუნის იმ წევრთათვის, ვინც ფურნის აგებაზე და სხვა დიდ საქმეზე მუშაობს. განზრახული კი აქვთ, მოაწყონ პატარა სამზარეულო-ფაბრიკა მთელი კომუნისათვის. აქ ყოველ დღიურად დამზადდება მთავარი კერძები. განსაკუთრებით მოითხოვენ ამას ქალები. ვისაც საერთო სამზარეულოს საჭმელი რაიმე მიზეზით არ მოეწონება, შესაძლებლობა ექნება თავის ჭკუაზე გააკეთოს შეჭამადი სახლში. ეს შეუძლია თვითეულ კომლს, რადგან მას სახლში ჰყავს ძროხა, აქვს საკუთარი საჭიროებისათვის ბოსტანი, ყავს თავისი შინაური ფრინველი, ქათამი, იხვი, ბატი და ინდაური.

ჯერ სრულიად ახალგაზრდაა ხიდეშლების კომუნა და მან საუცხოოდ დააყენა კომუნის წევრთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე. კომუნის წევრ ავადმყოფების წამლობაზე დიდ ძალი ფულია დახარჯული. როცა ადგილობრივი მკურნალობა საკმარისი არაა, ავადმყოფები იგზავნება თბილისში, წყალტუბოში და სხვაგან. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში 8 კაცი გაიგზავნა თბილისში და 5 წყალტუბოში. წამალი და საერთოდ ყოველი სახის მედიკამენტები კომუნის წევრებს უფასოდ ეძლევათ.

კომუნის წევრები კარგად გრძნობენ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათი საქმის წარმატებისათვის სწავლა-განათლებას, ამიტომ კომუნა ყოველ ზომებს ხმარობს, რომ უსწავლელი არავინ დატოვოს. ყოფილი ღარიბები, რომელთაც უსახსრობის გამო შეუწყვიტეს სწავლა და რომელნიც ეხლა ასაკ გადაცილებული არიან, დღეს კომუნის დახმარებით განაგრძობენ სწავლას. რამოდენიმე ახალგაზრდა კომუნას თავის ხარჯზე ყავს გაგზავნილი უმაღლეს სასწავლებლებში.

სასწავლო ნივთების შეძენა და, საერთოდ სკოლის ყველა აუცილებელი მოწყობილობების ყიდვა კომუნის ხარჯზე ხდება. ეს არის, რომ კომუნას აკლია რადიო-მიმღები აპარატი. ხიდეშლები კი უთუოდ ღირსნი არიან ამ შედარებით უბრალო მოწყობილობის. ყოფ. ეკლესიის, დღეს წით. კლუბის სახურავზე უნდა აღიმართოს რადიო ანძა და კულტურას მოწყურებული ხიდეშლელი კომუნარი ჩაუჯდება მავთულის ამ ჰაერში გაბმულ ხლართს, როგორც მონადირე სასირე ბადეს, და გულის ფანცქალით უთვალთვალებს თოვლოვან მთებიდან გადმოფრქვეულ შორით წამოსულ რადიო ნაპერწკლებს. ის დაიჭერს არა მარტო ნიკო ქუმსიაშვილის რადამესის არიას თბილისის ოპერიდან, არამედ რაც მთავარია, კომუნა ყოველ დღე უხილავ, მაგრამ ცოცხალი კავშირით იქნება გადაბმული საბჭოთა კავშირის მუშათა ცენტრებთან. ხიდეშლები კი მუშათა კლასის იმედით ცოცხლობენ და აკეთებენ სამშვილიშვილო, სასიქადულო საქმეს.

ძველი და ახალი სტუმართმოყვარეობა

განა თქმა უნდა იმას, რომ ხიდეშლების გამარჯვებას ყველა ერთნაირად არ შეხარის! ხიდეშლების თვითეული წინ გადადგმული ნაბიჯი კულაკების გამძვინვარებულ პროვოკაციას იწვევს. ამ ბოლო დროს კულაკებმა საყვარელ ჭორად გაიხადეს ხიდეშლების „პურმარილი".

— სტუმარ-მოყვარეობა დაივიწყეს, მათ ოჯახში სიმღერის ხმა არ გაჰქანდება, ყველაფერი საერთო ბეღელში აქვთ მოქცეული, თავის სურვილზე ვერავინ შეავლებს ხელს საკუთარ ქონებას, რა ცხოვრებაა, მათი ცხოვრება! — ამბობენ კულაკები ხიდეშლებზე.

სტუმართ-მოყვარეობა მეტად თავისებური ცნებაა. ბევრს ალბად გაუგონია მოსწრებული ანეკდოტი, რომელსაც, ისე როგორც სხვა ანეკდოტებს, რატომღაც ობივატელები სრულიად უსაფუძვლოდ აწერენ რუსთაველის პროსპექტის ერთ ცნობილ მასხარას. აი, ეს ანეკდოტიც:

იმერელ აზნაურს ჭიშკარზე ჩამოუარა ჯორზე მჯდომმა შორეულ ნაცნობმა. საღამო ჟამი იყო. აზნაურმა თავი გამოიდო. მგზავრს თავმომაბეზრებელი პატივობა დაუწყო. გადაეკიდა, ჩამობრძანდით დანაყრდით, ღამე გაითიეთ და ხვალ დილა ადრიან წაბრძანდითო. მგზავრი არ თანხმდებოდა, მაგრამ როცა, აღარ მოეშვენ, დიდი ბოდიშის მოხდით გამოჰყო უზანგიდან ფეხი და ძირს ჩამოხტა. თან იმასაც ეკითხება ახირებულ მასპინძელს ჯორი სად დავაბაო. აზნაურს გულზე ნაღველი გადაედო. რა იცოდა, რომ საქმე ასე მობრუნდებოდა. სახლში მჭადის ნატეხიც არ გააჩნდა. გულშემოყრილმა მასპინძელმა თავის თავის ხმის მოგებით ჩაილაპარაკა — ამ ჩემს სოძაღლე ენაზე დამაბი მაგ მგლის არჩევიო.

ეს ანეკდოტი არაა. ეს ცხოვრების მწარე სინამდვილიდან ამოღებული დამახასიათებელი სურათია. ჩვენებურ სახელ-განთქმული პურმარილი ხშირად ამნაირ შინაარსისაა. მასპინძელი თავს გევლება, ფეხქვეშ გეგება, შენს ღმერთის ლოცულობს, მაგრამ გულში თავზე ქოქოლას გაყრის, გწყევლის და გკრულავს.

ახალი სოფელი ქმნის ახალ ყოფა-ცხოვრებას. ის სტუმარ-მოყვარეობის ახალ ფორმებს იძლევა. ხიდეშლების კომუნის მაგალითი ამ მხრივ მეტად საგულისხმოა. კულაკებმა ხიდეშლებს პურ-მარილის სიძვირე დასწამეს, ხიდეშლებს ასეთი პურ-მარილი არ სწამთ, როცა ენაწყლიანი პირფერი მასპინძელი გუნებაში ღვარძლით ივსება. ხიდეშლებმა მოიწვიეს სტუმრად რაჭის მეორე ცნობილი კომუნა სოფ. სორიდან. 30 ცხენოსანი კომუნარი ეწვია ხიდეშელ კომუნარებს. ეს წვეულება დიდი ამბით იქნა გადახდილი. მახლობელ კვირას სორელების მიწვევით ხიდეშლები მიდიან სტუმრად სორის კომუნაში.

ნათესაური და მოყვრული სტუმართ-მოყვარეობაც ნაქებია ხიდეშლებში. აქედან გათხოვილ ქალს, თუ სხვა ნათესავსა და მოყვარეს შეუძლია ეწვიოს სტუმრათ თავის ნაცნობსა და ახლობელს, კომუნის წევრს და 7 დღე იცხოვროს უშრომლად, როგორც სტუმარმა, ხოლო შვიდი დღის შემდეგ, თუ რაიმე საპატიო მიზეზი არა აქვს სტუმარიც მოვალეა კომუნის სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს მუშაობაში. ერთი კვირის განმავლობაში სტუმარი ვერავითარ უკმაყოფილებას ვერ იგრძნობს მასპინძლისაგან, რადგან მისი მისვლით გამოწვეულ თითქმის მთელ ხარჯებს კომუნა იხდის. აი გულწრფელი და ნამდვილი სტუმართმოყვარეობა. აი, როდის აღარ გაიშვერს მასპინძელი თავის მოჭრილ ენას სტუმრის ჯორის მისაბმელად, აი როდის არ დაითვლის ის სტუმრის ლუკმებს.

ხიდეშლები უქმებსაც თავისებურად იხდიან, საეკლესიო დღესასწაულებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ხიდეშლების კომუნის უქმეები იგივე რევოლუციონური უქმეებია. 1 მაისს დაჰკლის ორი ხარი და მთელმა კომუნამ ერთად გადაიხადა არაჩვეულებრივი ნადიმი.

კულაკები კი ჰყეფენ, კომუნა ნათესავმოყვარეზე ხელის აღება, სინდის-ნამუსის გადაგდებააო!

ბრიყვები და ძველი ცხოვრების მოტრფიალენი ხშირად უჯერებენ მათ. ხიდეშლების კომუნის ქარავანი კი თავისი გზით განაგრძობს სვლას.

ვინც მიდის ხიდეშლების კომუნაში საცხოვრებლად, თავს ბედნიერად გრძნობს. სხვა სოფლიდან შემოსული გათხოვილი ქალები თავის ბედს შეჰხარიან, გასათხოვარნი კი თვალცრემლიანი სტოვებენ კომუნას. ამიტომ ხიდეშლები ცდილობენ მეზობელ კომუნა სორთან დამოყვრებას. სასიძო-სარძლოს ამორჩევა უმთავრესად ხდება საერთო კულტურულ საღამოებზე და წარმოდგენებზე.

რა აკლია ხიდეშლებს

ხიდეშლების კომუნის, ისე როგორც ყველა ჩვენი კოლექტივების, ოცნებაა ტექნიკური მოწყობილობა. საჭიროა მაგალითად, უბრალო მავთულის ბაგირის მოწყობა საკაურის ერთ ნაპირიდან მეორემდე, რომ ხიდეშლებმა დაამზადონ მთელი ონის ბაზრისათვის საკმაო თივა. დღეს ეს საუცხოო ბალახი, რომელშიაც ცხენოსანი კაცი დაიმალება, უგზოობის გამო უსარგებლოთ ლპება სალი კლდის კალთებზე, რომელიც იმდენად მოსხლეტილია, რომ თხა და ცხვარიც ვერ შედის შიგ სამოვრად.

ხიდეშლები ნატრობენ პურის სალეწ მანქანას და ვერ უშოვნიათ ის. ტრაქტორი აქ ვერ იმუშავებს, ამბობენ ისინი, პურის სალეწი მანქანა მაინც მოგვეცა, რომ დრო როგორმე მეტი გადავირჩინოთ და სხვა რამესაც მივხედოთ. წელს ორი კვირა ვლეწეთ პური. ამის გამო სილოსის გაკეთება დაგვიგვიანდა და საერთო ბოსლების აგება ვერ მოვასწარით. სხვათა შორის, ბოსლების ასაგებად კომუნას შეჰპირდნენ კრედიტს, ფული არც იმდენი იყო საჭირო. მასალა ადგილობრივ თავზე საყრელია, ოსტატებიც უკეთესი სად ნახულა. მიუხედავად ამისა დაპირებული კრედიტი დღემდე მიუღებელი აქვთ. ზამთარი მოახლოვებულია, მთის მწვერვალებს ნაბდის ქუდივით ხურავს თოვლი, ის სადაცაა თავის კალთებით კომუნის კარ-მიდამოსაც გადაეფარება.

ცხადია, კრედიტების დაგვიანებამ დიდი დაბრკოლება გამოიწვია გაერთიანებულ საქონლის მოვლის საქმეში. საერთო ბოსელი ამ ზამთარში უთუოდ უნდა ყოფილიყო. ეს გარემოებაც, როგორც ჩემ მოსაუბრე ვანო ხიდეშელმა სთქვა ზემო-რაჭული აქცენტით:

„ცოტვინიკა საწყინად დარჩა კომუნარებს".

საყურადღებო გარემოებაა ლინგვისტისათვის—არსად ასე გავრცელებული არაა მოფერებითი სიტყვები, როგორც რაჭაში. ყველა არსებით თუ ზედსართავ სახელს რაჭველი თავის მოფერებითი დაბოლოებას უკეთებს: „ლამაზოკა ქალი", „მომეცი ერთი მანათუკა". ასე გასინჯეთ ქართულში შემოსული რუსული სიტყვებიც ვერ გადაურჩნენ ამ საერთო ხვედრს. „ოამალივენე ერთი კრუშკუნა წყალი".

